ფასი 40 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე
ყოველდღიური გაზეთი

№ 19 შაბათი, 17 აგვისტო 1918 წ. № 19

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

თბილისის მილიციის უფროსის განცხადება.

ქალაქის მავნე ელემენტი სარგებლობს მოქალაქეთა ნდობით და უცოდინარობით, რის გამოც ყალბი ორდერებით ახდენენ ჩხრეკას მილიციის სახელით ან იმ დაწესებულებათა რწმუნებულების სახელით, რომელთაც ჩხრეკის უფლება აქვთ, და ამ ჩხრეკის დროს სცარცვავენ და ჰქურდავენ მოქალაქეთ. ამიტომ ვაცხადებ, რომ ყოველივე გაჩხრეკა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ადგილობრივ კომისარიატის წარმომადგენელის ბინის კომიტეტის რწმუნებულის და მეეზოვეს თანადასწრებით. ბინის კომიტეტის რწმუნებული, ან მეეზოვე უნდა პირადათ იცნობდეს მილიციის ადგილობრივ კომისარიატის წარმომადგენელს. ამ ნაჩვენებ პირობათა შეუსრულებლივ, საჩხრეკათ არავინ არ უნდა იყოს სახლში შეშვებული. მოქალაქეთა ინტერესების დასაცავათ, დაბეჯითებითი თხოვნით მივმართავ ყოველ მოქალაქეს, რომ უკანონოთ მომხდარ ჩხრეკის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ ადგილობრივ კომისარიატში, ან მილიციის სამმართველოში და დაიხსომონ იმის გვარი, ვისაც ამის შესახებ განუცხადებენ, ჩხრეკის დროს ნივთების დაკარგვის შესახებ კი ყოველთვის პირადათ მე განმიცხადონ.

მილიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ურუშაძე.

15 აგვისტო 1918 წ., ქ. თბილისი.

განცხადება.

საქართველოს რესპუბლიკის არსენალი

თანახმათ არტილლერიის მიმწოდების უფროსისა, ამით აცხადებს, რომ **22** აგვისტოს **1918** წ., დღის **11** საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საქართველოს არსენალში გასასყიდათ ერთის **20** მალიანი ლოკომობილისა თავის კუთვნილებით. ყიდვის დროს უნდა გადიხადოს მყიდველმა ნახევარი ფასი მასალისა. ქალაქში თავისუფლად გასატარებლად მყიდველს მიეცემა განსაკუთრებითი მოწმობა საქართველოს არსენალისგან. განმეორებითი საჯარო ვაჭრობა (პერეტორჟკა) მოხდება მესამე დღეზე. ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება არსენალის კანცელარიაში ყოველ დღე **9—3** საათამდე.

არსენალის უფროსი გვ. კაპიტანი გედევანიშვილი.
საქმეების მმართველი შავლაძე.

3—3

განცხადება

თანახმად ბ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის **12** აგვისტოს **1918** წ. დამტკიცებულ მოხსენებისა დროებით გადიდებულია გადასახადი საწონთა და სასწორთა გასინჯვისა და ოქრო—ვერცხლზე პრობის დასმისათვის, გადიდებული გადასახადი შევა მალაში დღიდან ამა გამოცხადებისა საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ორგანოში.

მინისტრის რწმუნებული დასაპრობ სამმართველოსა და საწონ-სასწორთა პალატაში ინჟინერი ივ. ყიფშიძე.

(3—2)

ოზურგეთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან საჭიროა ქალაქის აფთიაქისთვის გამგე-პროვიზორი. ჯამაგირი თვეში 500 მანეთი.
მისამართი: ქ. ოზურგეთი ქალაქის გამგეობას.

(5--1)

განცხადება

თბილისის მილიციის კოოპერატივის დროებითი მმართველობა ამით აცხადებს რომ კვირას 18 აგვისტოს, 10 საათზედ დილით დანიშნულია მილიციის (ყოფილი პოლიციის) კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება, ამისათვის სთხოვენ მილიციის ყველა მოსამსახურეთ და აგრეთვე ხსენებული კოოპერატივის წევრებს არამილიციონერთ მობრძანდნენ კრებაზედ ეფიმოვის ცირკში. განსახილველი იქნება შემდეგი საკითხები:

1. კოოპერატივზედ დროებით აპეკის მოხსნა, რომელიც არის დაყენებული გუბერნიის სასურსათო კომიტეტიდან.
2. ანგარიშის ჩამორთმევა ეხლანდელ მმართველობიდან.
3. კოოპერატივის გადაბარება მილიციისადმი.
4. არჩევნები მმართველობის წევრთა.
5. სარევიზიო კომისია და სხვა.

დროებითი გამგეობა.

სავალდებულო დადგენილება.

ხოლერასთან საბრძოლველ თანხის შესადგენად თბილისის თვითმმართველობის საბჭო აწესებს ერთდროულ გადასახადს შემდეგის წესით:

I. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონნი გადახდებათ 1918 წლის სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის 20 პროც.

II. სავაჭრო თუ სამრეწველოების პატრონნი, რომელნიც სახელმწიფო სამრეწველო გადასახადს არ იხდიან (მეოთხე ხარისხის ვაჭარნი და მეშვიდე და მერვე ხარისხის მრეწველნი) იხდიან ერთდროულად 40 მან.

III. იმ მოვაჭრეთ, რომელთაც მუდმივი ბინა არა აქვთ სავაჭროთ და ამიტომ ან ხელზედ ვაჭრობენ, ან გადააქვთ და გადმოაქვთ საქონელი, ერთდროულად გადახდებათ 25 მ.

IV. ქუჩაში მომუშავე ხელოსანნი, ფეხსაცმელის მწმენდავნი, სურათების გადამღებნი და სხ. იხდიან 15 მან.

V. ეტლებზე მომუშავენი იხდიან: ა. მგზავრთა გადამზიდავ ეტლზე 50 მ. ბ. ბარგის გადამზიდავ წყვილ ცხენიან ეტლზე 40 მ. გ. ცალ-ცხენ. ეტლზე 30 მ. დ. ბარგის გადამზ. ერთ უღელ კამეჩზედ 40 მან. ე. ბარგის გადამზიდავ ერთ უღელ ხარზედ 30 მან. ვ. მოვაჭრენი ან ბარგის გადამზიდავნი, რომელნიც ან ვირზედ ეზიდებიან საქონელს ან ტაჩკაზედ—თითო ვირზედ იხდიან 10 მან. ზ. ბარგის გადამზიდავ თითო ცხენზედ 15 მ.

VI. გარდა იმ გადასახადისა, რომელიც პირველ მუხლშია მოხსენებული, სამიკიტნოების პატრონნი გადახდებათ საქალაქო გადასახადის 10 პროც.

VII. იმ პირთ, რომელნიც ან ყოველთვიურ ჯამაგირს იღებენ, ან ყოველთვიურ შემოსავალს—გადახდებათ ენკენისთვის შემოსავლის 20 პროც. თავისუფალ პროფესიის პირთ—თვიური შემოსავლის 20 პროც.

VIII. საზოგადო, სახელმწიფო და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა გამგენი და მმართველობანი, თუ მათში მოსამსახურეთა საერთო რიცხვი ოც კაცზედ ნაკლები არ არის, მოვალენი არიან ენკენისთვეში შეადგინონ მოსამსახურე პირთა სია, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს—რა ერგება ენკენისთვის განმავლობაში ყოველ მათგანს და რა გადახდა ერთ დროულად 20 პროც. ვარაუდით.

IX. კლუბებსა, რესტორანებსა და სხ. ამგვარ დაწესებულებებში ყოველ ანგარიშის, საერთო ჯამს, ხოლერის მოსპობამდის ემატება 10 პრ. ხოლერასთან საბრძოლველ თანხის გასაძლიერებლად. პირველ ხარისხოვან რესტორანებს 10 პრ., დაბალ ხარისხოვანთ 5 პრ.

X. გადასახადი ეწერება ყველა იმ პირთ, რომელნიც ყოველდღიურ ვაჭრობის ნებართვის ასაღებათ ქალაქის თვითმმართველობის მარკებს იღებენ. ის პირნი, რომელნიც ენკენისთვის განმავლობაში ორ მანეთიან მარკას აიღებენ, მოვალენი არიან სანიტარული ფონდის გასაძლიერებლად ათ შაურიანი მარკაც აიღონ.

ვინც 1 მ. 50 კ. მარკას აიღებს—30 კ.
„ 50 „ „ „ — 15 „

XI. ის პირნი, რომელნიც ამ დადგენილების მესამე მუხლში არიან მოხსენებულნი, თუ ვინიცობაა არ გადიხდიან კუთვნილ ფულს, 1918 წ. განმავლობაში ვაჭრობის უფლებას ჰკარგავენ.

XII. ის პირნი, რომელნიც თავის ნებით გადიხდიან 15 მან. ან მეტს, განთავისუფლებულ იქნებიან თვიური შემოსავლის რაოდენობის ჩვენებისაგან.

XIII. სიტყვა შემოსავალი ჰგულისხმობს ყველა თანხას, რომელიც კი მისაღები აქვს გადამხდელს ენკენისთვის განმავლობაში ხარჯების გამოუკლებლივ.

XIV. იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი ერთი პირის ხარჯით არ ინახება ქმარი, ცოლი და ოჯახის სხვა წევრი ცალ-ცალკე უნდა იყვნენ ნაჩვენები.

XV. ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ ამ დადგენილებას—ან დამალავენ შემოსავლის რაოდენობას, ან არ გადიხდიან კუთვნილ ფულს მომრიგებელ მოსამართლეთა დებულების 29 მუხლის ძალით დაისჯებიან (დროებითი მთავრობის 18 მარტის 1918 წლის რედაქციით).

XVI. იმავე მუხლის ძალით იქნებიან დასჯილნი სახლის პატრონნი და სახლთა კომიტეტების თავმჯდომარენი, თუ ვინიცობაა არ შეასრულებენ ხსენებულ ხარჯის ასაკრეფ წესდებებს.

XVII. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

XVIII. დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ თუ როგორ და რა წესით გადახდებათ მოქალაქეთ გადასახადი ცალკე წესდებაში იქნება გამოცხადებული.

(3—3)

ოფიციალური განყოფილება

კანონი.

ფინანსთა სამინისტროს სალიკვიდაციო განყოფილების დაარსებისა.

1. დაარსდეს ფინანსთა სამინისტროს დროებით საგანგებო განყოფილება საერთო ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების მო-

საწესრიგებლად, თანახმად აქვე დართულ სამი თვის ვადით განსაზღვრული შტატისა.

2. ამ კანონით გამოწვეული ხარჯი თორმეტი ათასი მანეთი, თანახმად წარმოდგენილი შტატისა, გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

3. კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

1918 წ. აგვისტოს 13.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

დროებითი შტატი.

ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული სალიკვიდაციო განყოფილებისა.

თანამდებობათა სახელი.	თანამდებობათა რიცხვი.	ჯამაგირი.		შენიშვნა.
		თვიური.	სამი თვით.	
მთავარი გამგე. . . .	1	1350	4050	
საქმის მწარმოებელი .	1	600	1800	
მდივანი	1	500	1500	
საქმის მწარმ. თანაშემწე	2	900	2700	
ჟურნალისტი.	1	350	1050	
საწერ მანქანაზე მომუშავე.	1	300	900	
სულ . . .	7	4000	12000	

განსაკუთრებულ სალიკვიდაციო განყოფილების საკანცელარიო ხარჯები ფინანსთა სამინისტროს თანხიდან მოხდება საერთო წესით.

1918 წ. აგვისტოს 13.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

14 აგვისტო, 1918 წ., ქ. თბილისი.

№ 21.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან: თავისი თხოვნის თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ალექსანდრე პროხოროვიჩი.

დანიშნულ იქმნა: განჯის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი ივანე აკოფოვი—ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად.

იუსტიციის მინისტრი შ. ვ. ალექსი-ესხიშვილი.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის შრომის მინისტრისა.

14 აგვისტო 1918 წ.

№ 5.

თბილისის გუბერნიის შრომის კომისარი ი. ტრეიმანი ინიშნება შრომის სამინისტროს უფროს ინსტრუქტორად ამა წლის 14 აგვისტოდან.

№ 6.

შრომის სამინისტროს საკონფლიკტო განყოფილების მდივანი ლეონ ელბაქიანცი ინიშნება თბილისის გუბერნიის შრომის კომისრად თანახმად თბილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილებისა ამა წლის 14 აგვისტოდან.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე.
შრომის სამინისტროს მდივანი პ. დოლიძე

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სასურსათო საქმისა და გზათა სამინისტროსი,

14 აგვისტო 1918 წ.

№ 9.

ამა წლის 14 აგვისტოდან საეკონომიო მეცნიერების კანდიდატი ვენედიქტე ნიკოლოზის ძე ცინცაძე ინიშნება სასურსათო საქმის სამინისტროს პურის განყოფილების უფროსათ და რჩება სასურსათო საქმის და გზათა სამინისტროს რწმუნებულის თანამდებობაზე.

სასურსათო საქმის და გზათა მინისტრი ივ. ლორთქიფანიძე.
სამინისტროს მდივანი ვ. გაჩეჩილაძე.

15 აგვისტო 1918 წ.

№ 10.

ამა წლის 15 აგვისტოდან ერასტი ნესტორის ძე ფაღავა ინიშნება დროებით სასურსათო საქმის სამინისტროს კანცელარიის დირექტორის თანამდებობაზე და ევალება, სასურსათო სამინისტროს საქმეების მმართველის—ექვთიმე იოსების ძე დიატკინის ჩამოსვლამდის, აწარმოვოს სამინისტროს საქმეები მის მაგიერ.

სასურსათო საქმის და გზათა მინისტრის ამხანაგი პ. საბაშვილი.
სამინისტროს მდივანი ვ. გაჩეჩილაძე.

სავალდებულო დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის ყოველგვარ სურსათის თანასწორად განაწილებისათვის და მეზობელ სახელმწიფოებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის ნორმალურად წარმოებისათვის, ვამტკიცებ უკვე გამოსულ განკარგულებას აღკრძალვის შესახებ, ვუმატებ მას და სახელმძღვანელოდ და შესასრულებლათ ვაცხადებ შემდეგს:

1. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში აღკრძალულია მოცვის ფოთოლის (ჩაის) შესყიდვა და გაზიდვა ამ უკანასკნელის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, სასურსათო სამინისტროს ნებადაურთველად; გაზიდვა კი საზღვარ გარეთ აღკრძალულია სასურსათო სამინისტროს და საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის ნებადაურთველად.

2. გამოზიდვა ქ. ქუთაისიდან და ქუთაისის გუბერნიიდან, გადაზიდვა ამავე გუბერნიის სხვა-და-სხვა კუთხეებში შეიძლება ქუთაისის გუბერნიის სასურსათო საქმის რწმუნებულის ნებართვით.

3. დამზადება მოცვის ფოთოლისა (ჩაის) ევალება ქუთაისის გუბერნიის სასურსათო საქმის რწმუნებულს ლ. ე. გრიგოლიას და სასურსათო საქმის სამინისტროს რწმუნებულს სპეციალისტს ა. პ. სამარინს.

4. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო დამნაშავე მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში.

5. საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის ადმინისტრაციას ევალება თვალ-ყური ადევნოს ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებას სხვა-და-სხვა სადგურებზედ, დანარჩენ კუთხეებში კი ადგილობრივ გამგეობას.

6. ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან ხელის მოწერისა.

მინისტრის ამხანაგი პ. საბაშვილი.
სამინისტროს მდივანი ვ. გაჩეჩილაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 17 აგვისტო.

ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას საერთო მოუწესრიგებლობა ახასიათებს. მოსაწყობი და მოსაგვარებელია არა ესა თუ ის კერძო საკითხი და მოვლენა, არამედ ყველაფერი, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობა, მთლიანათ აღებული; ასაშენებელი და გასამაგრებელია მთელი ჩვენი ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

ამიტომ ცოტა არ იყოს გვაკვირვებს, როდესაც ხშირათ ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ისე უყურებს საქმეს თითქოს ნორმალურ მდგომარეობაში ვიყოთ და წესიერ სახელმწიფოებრივ ვითარებას განვიცდიდეთ.

საერთო აღმაშენებლობის საქმის გასაძღოლათ და სახელმძღვანელოდ მოწოდებულია ეროვნული საბჭო და მის წინაშე პასუხმგებელი ჩვენი მთავრობა.

და ჩვენ გვაფრთიანებს შეურყეველი რწმენა, რომ მათი მუშაობით და მეთაურობით საქართველოს გემი უვნებლათ ივლის საერთაშორისო ცხოვრების მღელვარე ზღვაში და ჩვენი ხალხი საბოლოთ გამოსჭედავს თავის სახელმწიფოებრიობას, თავის რესპუბლიკის ბედს.

დიახ, ჩვენს ცხოვრებას ბევრი რამ აკლია, მაგრამ ყველაზე უფრო საგრძნობელია შინაური მართვა-გამგეობის კარგი აპარატის უქონლობა. სახელმწიფოს პირველყოვლისა ესაჭიროება ადმინისტრატიული მართველობის მოწყობა და სამართალი.

არც ერთი და არც მეორე წესიერი და სასურველი სახით, ჩვენ დღეს არ მოგვეპოვება.

და ჩვენი მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებაც სწორეთ აქეთკენ არის მიქცეული.

დიდი სასწრაფო ზომებია მისაღები ადმინისტრაციის და სასამართლოს მოსწყობით და გადასახადისებლით, უნდა მოგახსენოთ, ამ დარგში დღეს ბევრი არასასურველი ამბავი ხდება, მრავალ უწესოებას და თვითნებობას აქვს ადგილი, რაც ადვილად ასახსნელია, თუ მივიღებთ მხედველობაში მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციის სისუსტეს, საერთო ობიექტიურ პირობებს და იმ შავს ანარქიულ ნისლს, რომლისაგანაც სავსებით ჯერ კიდევ არ გაწმენდილა ჩვენი რესპუბლიკა.

ძალიან კარგათ იცის მთავრობამ ეს და ამიტომ ის განსაკუთრებულ მუშაობას ეწევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რაც შეიძლება მალე დამყარდეს მოუსყიდველი, ქვეყნის ერთგული ადმინისტრაცია და პირუთვნელი, ხელმისაწდომი, საყოველთაო სამართალი.

ვისურვოთ, ეს სახელმწიფოებრივი მუშაობა მალე დასრულებულიყოს და ახალი რეფორმა რესპუბლიკის გამამტკიცებლად და ხალხის სანუგეშოთ მალე მოვლინებოდეს ჩვენს სამშობლოს.

⁂

ზოგიერთებს და მათ შორის გაზ. „შრომის“ თანამშრომლებს არ მოსწონთ გენ. მაზნიაშვილის ჯარის მოქმედება-სხვა ქვეყნებს იპყრობს და დემოკრატიის იდეალებს და პოლიტიკას ბღალავს და ეწინააღმდეგებაო.

ეტყობა ჩვენში კიდევ დიდი გასავალი აქვს ლამაზ ფრაზეოლოგიას და სიტყვიერ „დემოკრატიზმს“ და „მემარცხენეობას.“

თორემ ვინ არ იცის, რომ გენ. მაზნიაშვილს და მის ჯარის მოქმედებას არვითარი დაპყრობითი პოლიტიკა არა აქვს მიზნად. ვინ არ ხედავს, გარდა ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებისა, რომ ჩვენი დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკა არის არა იმპერიალიზმი, არამედ საქართველოს რესპუბლიკის ხელუხლებლობა და მისი ბუნებრივი საზღვრების უზრუნველყოფა.

გენ. მაზნიაშვილმა უკვე განაცხადა საქვეყნოთ, რომ მხოლოდ „თავდაცვის მოსაზრებით“ წაიწია წინ და ეს ასეა „სანამ ბოლშევიკური მოძრაობის ტალღა სრულიად არ მოშორდება ჩვენს მხარეს და მერე კი ჩვენ ბუნებრივ საზღვრებისკენ დავიწევთ და გავმაგრდებით, რომელსაც არავის და არაფრისთვის არ გადმოვალახვინებთო.“

ეს განცხადება რომ სამართლიანათ დავაფასოთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სამშობლო რესპუბლიკანური წყობილების სამშობლოა და მისი ტერიტორიის საზღვრები, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, დემოკრატიის და თავისუფლების საზღვრებია.

და რომ ეს საზღვრები კარგათ გავამაგროთ და მათ მოვაშოროთ თავაშვებული ბრბოები, რომელთა მიზანს მხოლოდ რბევა და განადგურება შეადგენს, ნუ თუ ეს იქნება არა დემოკრატიული, არა რესპუბლიკანური?

ცხადია ჩვენში დემოკრატიის პოლიტიკას და იდეალებზე სხვა და სხვა წარმოდგენა არსებულა!

დროა ყველა გამოემშვიდობოს სიტყვიერ წყლის ნაყვას. დროა ვიმოქმედოთ ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს საშენებლად. საქართველოს რესპუბლიკა თხოულობს დემოკრატიულ საქმეს.

ეროვნული საბჭო

მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.

ივ. ლორთქიფანიძე (ერ. დემ.) მე მოგახსენებთ იმ ექსპედიციაზე, რომელიც ბეჭდავს ჩვენს ფულს საერთოდ. მოგეხსენებათ, რომ ყოველგვარ ფულს მაშინ აქვს ღირებულება თუ იბეჭდება სწორედ იმდენი, რამდენიც გადაწყვეტილია. ამ დეკრეტის ძალით ამ ექსპედიციაში მოქმედობს იგივე საინიციატივო კომისია, როგორც ხსვა კერძო დაწესებულებებში ის კომისარი, რომელიც დანიშნულია ჩვენ ფინანსთა მინისტრის მიერ ფულის გარშემო იმ შენობას, სადაც ბონები იბეჭდება და დღემდის შიგ ვერ შესულა. კარებში დგანან პრივრატნიკები, რომლებიც არავის სცნობენ გარდა საინიციატივო კომისიისა. პრივრატნიკები ექვემდებარებიან მხოლოდ საინიციატივო კომისიას.

ამას წინად, როდესაც ქურდიანმა დაათვალიერა ბონების მბეჭდავი ექსპედიცია, შენიშვნა გაუკეთა ექსპედიციაში მომუშავეთ იმის გამო, რომ არ ჰყავდათ ტაბელშჩიკი. ეს საჭიროა იმის აღსანიშნავათ, თუ ვინ რა დროს მოვიდა. საინიციატივო კომისია ჯერ ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ ეს შემოიღეს, და გამოირკვა, რომ პირველ დღეს დააკლდა 30 კაცი, შემდეგ 18, შემდეგ 2, 3 და 1.

მაგრამ თვით ამას წინად საინიციატივო კომისიის და თვით ექსპედიციის მუშაობა დაათვალიერა შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა გოლდმანმა, რომელმაც იმის მაგივრად, რომ რამე გაეკეთებინა, უთხრა მუშებს; რომ თქვენ საინიციატივო კომისიის გარდა არავის არ უნდა გაუგონოთო. განა შეიძლება მუშებს უწყების წარმომადგენელმა ეს უთხრას. განა შეიძლება ეს უთხრას შრომის სამინისტროს წარმომადგენელმა იმ დაწესებულების მუშებს, სადაც ფული იბეჭდება?

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც. სხვაგან კერძო დ დიდ სახელმწიფო დაწესებულებებში რომ მომუშავეთ ხელზე არ მიეწებოთ ის, რასაც ისინი აკეთებენ,—მუშები სამსახურში მოსვლისას იხდიან თავიანთსას, იცვამენ სახელმწიფო ტანისამოსს. შემდეგ მუშაობის გათავების დროს კვლავ იცვლიან სამოსს და ისე ბრუნდებიან სახლში. ეს რა თქმა უნდა ხდება კონტროლის ქვეშ. თუ სადმე ეს წესი არ არის შემოღებული, იქ მუშებს წასვლის წინ გაშინჯავენ ხოლმე. როდესაც ამაზე მიუთითეს საინიციატივო კომისიას, იგი წინააღმდეგი გახდა ასეთ წესის შემოღებაზე. საინიციატივო კომისიის აზრით ეს წესი შეურაცხყოფას აყენებს ადამიანს. რა თქმა უნდა ეს მისაღები არ არის, რადგან თუ ამას მივიღებთ, მაშინ სრულებით საჭირო აღარ იქნება არც კონტროლი და აღარც კომისარი.

იყო ასეთი შემთხვევაც: ექსპედიციაში ერთი მუშათაგანი სამუშაოზე მთვრალი მივიდა. აქ მან რამდენიმე ბონი გააფუჭა, მას ჩხუბიც კი მოუვიდა ამხანაგებთან. და იმის მაგივრად, რომ ეს მუშა დაეთხოვნათ, საინიციატივო კომისიამ ამ მუშის საქციელი იმით გაამართლა, რომ ეს კაცი ავადმყოფია და ალკოგოლიკიო. თუ კი ამ მდგომარეობაშია ფულის ბეჭვდის საქმე თქვენ წარმოიდგენთ, რომ ადვილი შესაძლებელია 90 პროცენტი მისი მოხმარდეს არა ქართველთა საჭიროებას. ეს რა თქმა უნდა, არ ანაღვლებს ექსპედიციის მუშებს, სადაც უმრავლესობა არა ქართველები არიან. ამისთვის იქნებ დიდად არ შეწუხდეს შრომის სამინისტროც, რომლის უმრავლესობასაც შეადგენენ აგრეთვე არა ქართველები. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, საჭიროდ სთვლის საბჭოს ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და გააფრთხილოს საბჭოს წევრები, რომ საქართველოს საჭიროებისათვის გადაწყვეტილ 500 მილიონის ბონების ნაცვლად ასეთ პირობებში 600 ან 700 მილიონი არ დაიბეჭდოს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს გრიგოლ ვეშაპელს.

გ. ვეშაპელი. (ერ. დემ.) ეროვნული დემოკრატიული ფრაქცია არ არის წინააღმდეგი შრომის სამინისტროს კანონ-პროექტის მიღებისა, მხოლოდ ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ საზოგადოთ შრომის სამინისტროს პოლიტიკა ექვემდებარება არა სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ ერთი კლასის ინტერესებს. ამიტომ იმის გარდა, რაც წინანდელმა ორატორმა მოგახსენათ, უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საქმეს. აი დღეს სწორედ ცნობა მოვიდა, რომ კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება შესწყდა მრეწველთა და მუშათა უთანხმოების გამო; სოციალ-დემოკრატიული პრესსა (მაგ. გ. „ბორბას“ მეთაური) მთელს ბრალს მრეწველებს სდებს. არ გეგონოთ, რომ მე როგორც სოციალ-იდეების მოწინააღმდეგე მთელ ბრალს მუშებს დავდებ. არა, ჭიათურის მუშები, ისე როგორც მრეწველები მონდომებული არიან რომ ჭიათურის მარგანეცის წარმოება განახლდეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ შრომის სამინისტროს ადგილობრივი კომისრები თუ ემისარები იმის მაგიერ რომ სახელმწიფოს ეკონომიური ინტერესების მიხედვით ხელს უწყობდნენ მუშათა და მრეწველთა კლასიურ ინტერესების მორიგეობას თვითონ ამწვავებენ და აღრმავებენ საკონფლიქტო საგნებს. შრომის სამინისტრო ორთოდოქსალურათ ხელმძღვანელობს იანვარში პრემიერად ნამყოფ ე. გეგეჭკორის გამოცემულ დეკრეტით,

რომლითაც დააწესეს მუშების დაქირავების და დათხოვნის პირობები. ეს კანონი ბალშევიკურ დეკრეტიდან არის გადმოწერილი; ამ ჟამად სრულებით არ შეესაბამება ეკონომიურ ცხოვრების პირობებს, რადგან საქართველო ეხლა გერმანიის ეკონომიურ ორბიტში არის მოქცეული და თუ ეს დეკრეტი არ იქნა შეცვლილი ახალი კანონით, ისე ჩვენში არავითარი მრეწველობა, ვერც შავი ქვის და ვერც თეთრის ვერ განახლდება. შრომის სამინისტროს, რომელშიაც დიდი გავლენა აქვთ არა ქართველ, უცხო ძალებს, რომელთაც არაფერი ინტერესი არა აქვთ საქართველოს ეროვნულ ეკონომიურ განვითარებისა, იმის მაგიერ რომ დეკრეტის შეცვლის ინიციატივა დააჩქაროს ისეთს ემისარებს აგზავნის ჭიათურისთანა დიდ სამრეწველო ცენტრებში, რომელნიც თვითონ აქეზებენ მუშებს ბალშევიკურად მოიქცნენ. აი მაგალითი: ჭიათურაში კოლექტიურ ხელშეკრულების დროს მუშებმა მოითხოვეს კვირა-უქმე დღეებში სამუშაო ქირა დღე-ნახევრისას უნდა უდრიდესო. მრეწველები თანხმდებოდნენ. ამ დროს შრომის ემისარმა, ელბაქიანი იყო თუ ტრეიმანი, განაცხადა, არა რუსეთის ახლანდელი წესის მიხედვით—ორი დღის გერგებათო და ამით წააქეზა მუშები...

ასეთ პოლიტიკას თუ მიდია შრომის სამინისტრომ ვერც ის, და ვერც მთელი მთავრობა სახელმწიფოს ვერ ააშენებს.—საჭიროა დაუყონებლივი გარდახედვა იანვრის დეკრეტისა და საერთო ზრუნვა მუშათა და მრეწველთა კლასიურ ინტერესთა შერიგებისა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის შრომის მინისტრის ამხანაგს.

გ. ერაძე. ნაციონალ დემოკრატები იწუნებენ შრომის სამინისტროს მოქმედებას. აქ შეეხენ ამ დღეებში დასრულებულ ჭიათურის მოლაპარაკების კოლექტიურ ხელშეკრულებას, და განაცხადეს, რომ თუ არ მოხდა შეთანხმება ეს იმიტომ, რომ თქვენ მიერ მიღებული კანონები შეუძლებლად ხდის ამ შეთანხმებასო; მე უნდა განვაცხადო, რომ იმ პირობებზე შეთანხმება, და კოლექტიურ ხელშეკრულების დადება რომელსაც აყენებდნენ კაპიტალისტები—იქნებოდა დიდი ბოროტება.

ჩვენ აქ გვიკიჟინებენ, რომ შრომის სამინისტროში გვყავნან არა ქართველები და ჭიათურის მოლაპარაკებაზე დასასწრებადაც გავგზავნეთ აგრეთვე არა ქართველები, რომლებიც ზიანსა და ზარალის მეტს არას აყენებენ ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებმა არა ქართველებმა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს შენების ყოველ დარგში. ისინი არავითარ ზიანის მოყენებას არ ცდილობენ. ეს თქვენი ნაციონალისტურ-შოვინისტურ აზროვნობის ნაყოფია. ჩვენ სამინისტროში ისეთი არავინ გვყავს, ვინც ჩვენ ხელს გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარებაში.

პრესის მიმოხილვა.

„მშაკში„ (№ 158) მოყვანილია გ. ტერ-რუბინიანის წერილი „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი და ლტოლვილები“ ავტორი სწერს:

„ამ ბოლო დროს რამდენი დღეც მიდის ქართველ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკის აღმშენებელნი ანვითარებენ იმ სახელმწიფობრიევ თვალსაზრის“, რომლის ცხოვრებაში გამტარებლები ერთ დროს იყვნენ პრუსიელი იუნკრები გერმანიაში, და სტოლიპინი, პობედონოსცევი, გოლიცინი და სხვანი რუსეთში.

ამ ათი წლის წინად ქართველ სოციალდემოკრატიის დღევანდელნი მოთავენი ებრძოდნენ სტოლიპინს, მის სახელმწიფობრიევ თვალსაზრისის გამო, და დღეს იგივე მოთავენი წერეთელი, ჩხეიძე, რამიშვილები წინ სწევენ თავიანთ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს, რომელიც თავის დღეში ვერ შეურიგდება საღ გონებას, სოციალისტურ აზროვნებას და კაცთმოყვარულ გრძნობას.

თუ გნებავთ თავი დავანებოთ, იმას, რომ ჯერ თბილისის და საზოგადოდ სამი რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნის საკითხი ჯერ ერთი საკითხია, და მისი დამტკიცება სტამბულის ან ბერლინის კონგრესის დადგენილებაზეა დამოკიდებული, რომ ჯერ არ მომხდარა საერთო სახალხო ხმის მიცემა, რომელიც გამოარკვევდა ხალხის თვალსაზრისს თბილისის და მის მაზრების შესახებ, მაინც ქართველ მთავრობის დღევანდელი კურსი ჩვენ გასაკიცხავად მიგვაჩნია. რას ნიშნავს მათი ის უსვინინდისო დამოკიდებულება ლტოლვილებისადმი, რაც შეუძლებლათ ხდის აუღელვებლივ უყუროთ ქართველ სახელმწიფოს აშენებლებს, საზოგადო დაწესებულებების სწრაფი ნაციონალიზაცია და არა ქართველების გაგდება სამსახურიდან... ყველა ეს საჭიროა ქართველებისთვის „სახელმწიფობრივ თვალსაზრისით“.

მე ჯერ ახლად ვარ ჩამოსული დედოფლის წყაროდან, სადაც შეფარებულიყვნენ 10—15 ათასი ნუხელი და არეშელი ლტოლვილები. მდინარე ალაზანზე გადასვლის დროს ქართველი მთავრობა ძალიან სასტიკად მოეპყრო ლტოლვილებს. აჰყრევინა იარაღი ბრბოს. მოაგროვეს დიდძალი იარაღი და ლტოლვილები გადასცეს მაზრის კომისარის ამხანაგს, რომელსაც მისცეს ძალიან ფართო უფლებანი, რომ მან ხსენებული ლტოლვილები გაჰყაროს საქართველოს საზღვრებიდან . . . .

. . . .

. . . .

იგივე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უკარნახებს ქართველ სოც.-დემოკრატიას რომ დატანჯოს ლტოლვილები: ბორჯომშიაც, სურამშიაც, მანგლისშიაც და თფილისშიაც.“

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ დიდი ამონაწერები ბატონ ტერ-რუბინიანის წერილიდან, რომ დაგვენახვებინა მკითხველისათვის თუ რას იმსახურებს ჩვენი მთავრობა თავის სიმშვიდისა და სიკეთის გამო. მაგრამ ბატ. ტერ-რუბინიანები, რომლებიც დღესაც კი გვედავებიან თბილისსა და მის მაზრებს (ამას უსირცხვილოდ სწერს ბ. რუბინიანი), მეტად აღელვებულან ჩვენი მთავრობის დღევანდელი პოლიტიკური კურსით. „რას ნიშნავს მათი უსვინდისო დამოკიდებულება ლტოლვილების მიმართ, რაც შეუძლებელ ხდის დამშვიდებით უყუროთ ქართველ სახელმწიფოს აღმშენებლებს“—სწერს ბ. ტერ-რუბინიანი.

ალბათ ტერ-რუბინიანი და მისთანა უსირცხვილო ადამიანები დამშვიდებით არასოდეს არ უყურებდნენ ქართველ ხალხს. აქ პოლიტიკური კურსი კი არ არის დამნაშავე, ეს ტერ-აბრამინიანისთანა შოვინისტების შავი გულის ბრალია. მრავალ სიბოროტეს ანთხევს სომხის ნაციონალისტური პრესა თავისუფალ საქართველოს დემოკრატიის საწინააღმდეგოთ, მაგრამ ჩვენ არასოდეს სომხის დემოკრატიისათვის ბოროტებითვე არ მივუზღავს და არც მიუზღავთ. სომხის დემოკრატიის შეგნებული ნაწილი, ვფიქრობთ, დავალებული უნდა იყოს იმ დახმარებით, რომელიც აღმოუჩინა ლტოლვილებს ჩვენმა მთავრობამ. ეს ტერ-რუბინიანებსაც უნდა დაენახათ, მაგრამ ნეტაი მათ აჯანყებები მოაწყონ ჩვენს წინააღმდეგ და ამაში ლტოლვილებსაც მონაწილეობა მიაღებინონ.

ბ. ტერ-რუბინიანი რასაც სწერს ლტოლვილების შესახებ ერთი დიდი პროვოკაციული ცილისწამებაა. მთავრობა არსად არ ეპყრობა ცუდათ ლტოლვილებს და რამდენიც და როგორც შეუძლია დახმარებას უწევს მათ. თუ ერთგან-ორგან ლტოლვილების მიმართ გამაფრთხილებელი ზომები მიიღეს, ამას მოითხოვდა ადგილობრივი ხალხის ინტერესები და ქვეყნის კეთილ-დღეობა.

ბ. ბ. ტერ-რუბინიანებს ლტოლვილთა საქმე არ ამოქმედებს. მათ ასულდგმულებს ჩვენი რესპუბლიკის მტრობა.

ისინი, ნაციონალისტი ტერ-რუბინიანები, შავრაზმელობენ.

როდემდის ფიქრობენ ასე ითავხედონ?

⁂

ტერ-რუბინიანის წერილის გამო „მშაკ“-ი სწერს:

როგორც სჩანს, სოციალისტურ რესპუბლიკაშიაც იბადებიან სოციალისტ-რესპუბლიკანური პომპადურები და დერჟიმორდები, რომლებიც ცოტა განსხვავდებიან ძველ, უწყალო რეჟიმის ასეთ მოსამსახურეთაგან. როგორც წარსულში, ახლაც სოციალისტურ რესპუბლიკანურ სახელმწიფოს პომპადურები და დერჟიმორდები ხელმძღვანელობენ ერთათ ერთი საქმით, ერთი ხელმძღვანელ პრინციპით, ეს არის სახელმწიფოს სარგებლობა. სულყველაფერში სახელმწიფოებრივ ინტერესის წინ წამძღვარება.

რაც ეპატიება ტერ-რუბიანებს ის არ უნდა ეპატიებოდეს „მშაკ“-ს. მაგრამ დღეს ყველა ისეა ალესილი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომ თეთრი და შავი ვერ გაურჩევიათ. ნუ თუ სირცხვილი აღარ არის, რომ ჩვენ სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ვიღაც ქონდრის კაცებმა პომპადურები და დერჟიმორდები უწოდონ? ნათქვამია—ავიფურთხებ ულვაშსა, დავიფურთხებ წვერზეო!

მერე რა მოხდა ისეთი. საქართველოს მთავრობამ, მართალია ზომები მიიღო სიღნაღის მაზრაში ლტოლვილთ სოფლებიდან გასაყვანად, რადგან ლტოლვილების მიერ შემოტანილმა ხოლერამ საგრძნობი ზარალი მიაყენა მკვიდრ მცხოვრებლებს. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი სახელმწიფოს ხელმძღვანელი, თუნდაც არარატის რესპუბლიკაში, რომელიც სახელმწიფოს მკვიდრ მცხოვრებლებზე არ ზრუნავდნენ და მთელ თავის დღეებს უცხოელ ლტოლვილთა ზრუნვაში ატარებდნენ. საკვირველია რაღა ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ასეთი არაჩვეულებრივი და, ვფიქრობთ, არა დემოკრატიული სიკეთე, ხოლო ბრმა ნაციონალისტურმა პოლიტიკოსებმა თავიანთი შავი გული სინანულის ცრემლით არ უნდა გაბანონ იმ ქვეყნის წინაშე, რომელსაც დღემდის ისინი სამარეს უთხრიან.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიას დეკლარაცია.

(წარმოთქმული, საქართვ. საბჭოში 1918 წ. 24 ივნისს).

ნ. ჟორდანია. მოქალაქენო! საქართ. ეროვ. საბჭოს წევრნო! ჩვეულებათ არის მიღებული, რომ ახალი მთავრობა წარმოადგენს ახალს დეკლარაციას თავის მოქმედების შესახებ. მე ცოტათი უნდა უღალატო ამ პრინციპს. ახალ დეკლარაციას მე არ წარმოგიდგენთ, რადგან ის ცვლილება, რომელიც დღეს აქ მოხდა, არ არის პოლიტიკური ხასიათისა. ჩვენს პალატას არ დაუწუნებია ის დეკლარაცია, რომელიც მთავრობამ ამ რამდენიმე დღის წინად წარმოადგინა, ჩვენ ნდობა გამოუცხადეთ მთავთობას და მაშასადამე ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს დეკლარაცია. ამიტომაც მინისტრები თავის ადგილებზე რჩებიან და ცვლილება მათ კაბინეტის შემადგენლობაში არ მოხდება; რაიცა შეეხება მინისტრთა ამხანაგებს, იქ კი ცვლილება მოხდება და ეს საბოლოოდ ხვალ გამოირკვევა. ამ ცვლილების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს კაბინეტი უნდა იქნეს ძალთა კონცენტრაციის მქონე, ძალთა შეერთების ორგანო. ამ ორგანოში უნდა გაერთიანდეს მთელი რევოლიუციონური და საზოგადობრივი ძალები. ჩვენ გვაქვს ერთი პარლამენტი და უნდა გვქონდეს ერთი აღმასრულებელი ორგანოც. ამ პალატაში გამოდის ყოველივე კანონი, რომელიც ტარდება ცხოვრებაში ერთი აღმასრულებელი ორგანოს მიერ. დღემდე მთავრობის ფუნქციებს რევოლიუციონური ორგანიზაციები ასრულებდნენ. დღეს ყველა ეს ფუნქციები მთავრობის ხელში უნდა გადავიდეს, აქ და მხოლოდ აქ უნდა მოხდეს ამ ფუნქციათა გაერთიანება, კონცენტრაცია. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა უკვე გამოიტანეს ასეთი დადგენილება. მხოლოდ რომ ეს ფუნქციები შეასრულოს მთავრობამ, აუცილებლად საჭიროა, რომ მისი მოქმედების მეთოდი წააგავდეს იმ მეთოდს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ რევოლუციონური ორგანიზაციები. ჩვენი მთავრობის მექანიზმი უფრო მარტივი უნდა იქნეს, სწრაფად დამაკმაყოფილებელი...

თუ მთავრობამ ვერ აართვა თავი მართვა გამგეობის საქმეებს და ფუნქციები ჯეროვანად ვერ შეასრულა, მაშინ ისევ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში გადავა ზოგიერთი სახელმწიფოებრივი ფუნქციები. და ისევ ორ მთავრობიანი მართვა გამგებლობა გვექნება. არც ნამეტანი სიჩქარე ვარგა, მაგრამ არც დაგვიანებაა სასურველი. ამ მხრივ უნდა ითქვას სიმართლე, რომ ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ სოფლის ცხოვრების მოწყობაში და ამიტომაა, რომ ზოგიერთ ადგილას სოფლები ანარქიამ მოიცვა. ქალაქებმა კი, სადაც კულტ. და პოლიტიკური ცენტრები იყო, შესძლეს თავისი მართვა-გამგეობის საქმეების მოწყობა, აგრეთვე იმ სოფლებმაც, სადაც კულტურული ძალები იყო და ქალაქების ახლოს მდებარეობდენ თავს უშველეს, მოაწყვეს მართვა გამგეობის საქმეები. ხოლო ის სოფლები კი, რომლებიც ამ მხრივ ჩამორჩენილი იყვნენ, ანარქიის ბუდედ გადაიქცენ. ჩვენ ეხლავე უნდა მივაქციოთ ამ სოფლებს განსაკუთრებული ყურადღება და ანარქიას გამოვაცალოთ ნიადაგი. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრარულ კანონს. ჩვენ აგრარული კანონი გვაქვს, მაგრამ ის ცალმხრივია, რადგანაც იქ აღნიშნულია, თუ ვის რამდენი ჩამოერთვას და რამდენი დაურჩეს; მაგრამ ვის მიეცეს—გლეხებს თუ სახელმწიფოს, ამის შესახებ უნდა გამოიცეს კანონი. მეორეთ ჩვენს სოფლებში არ არის სასამართლოები, გლეხმა არ იცის, ვის მიმართოს. კულტურულ სოფლებმა მოაწყვეს რევოლიუციონური სასამართლოები. იქ კი სადაც შეუგნებელი გლეხობა იყო, გლეხმა აიღო თოფი ხელში და თვითონ გაუსწორდა მოწინააღმდეგს. საჭიროა დაუყონებლივ სასამართლოების შექმნა, უნდა შემოღებულ იქნას ერობა. ამ რიგათ ჩვენ გამოვაცლით ნიადაგს იმ ანარქიას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს სოფლად. აგრეთვე ჩვენ მიგვაჩნია პირველ საჭიროთ შევქმნათ იძულებითი კანონი. თუ ეს არ გატარდა ცხოვრებაში, მაშინ მთავრობა თავის მიზნებს ვერ განახორციელებს. ამას წინეთ ჩვენ მივიღეთ კანონი სახალხო გვარდიის შესახებ, მაგრამ ეს არ კმარა. სახალხო გვარდიას უნდა მივმართოთ მხოლოთ განსაკუთრებულ საჭიროების დროს. თუ გვარდია მუდმივ აქ იქნა ეს შეაფერხებს მრეწველობას, მუშაობას, ვინაიდან გვარდიაში მყოფი ხალხი მუშებია. საჭიროა შევქმნათ მუდმივი ჯარი და გვარდია გაუშვათ სამუშაოთ. ასეთია მოკლეთ ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაიდგას ამ ახლო მომავალში. ეს მაშინ შეიძლება, როცა პარლამენტთან ერთად სხვა ძალებიც შემოკრბებიან მთავრობის გარშემო, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ან მთლად განვამტკიცებთ დემოკრატიულ რესპუბლიკას, ან მთლად დავიღუპებით. ბედი რევოლიუციონური ორგანიზაციებისა და მთავრობისა ერთმანეთთან გადაჯაჭვულია, ერთის დაღუპვა, მეორის დაღუპვაც არის და ამიტომ მათ ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა იარონ (დიდი ტაში).

რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა.

ძველი რუსეთის იმპერია დაიშალა, აღდგენა მისი ძველი სახელმწიფოს საზღვრებში ავადმყოფ ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვიდრე საღი გონების ნაფიქრი, რეალურ საფუძველზე დამყარებული იდეა. დაიშალა და დაირღვა რუსეთი ისე, როგორც დაიშალენ და დაინგრენ აღმოსავლეთით, ეგრედ წოდებული უნივერსალური იმპერიები, როგორც დაიყო ნაწილებად რომის დიდი იმპერია. მათ ნანგრევებზე აღმოცენდნენ მრავალი ახალი სახელმწიფოები, რომელნიც შეუდგნენ საკუთარ განსაზღვრული ტიპის და ფორმის შენობის აღმართვას, რუსეთში კი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის არავის სცალია, ბალშევიკები თითქოს რევოლიუციას აღრმავებენ, მაგრამ მათი უთაური მეთაურობა ჯერ-ჯერობით იწვევს მხოლოდ ერთ შედეგს, რომელიც რუსეთის სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზმს დღითი-დღე უფრო შლის და სრულ განადგურებას უქადის.

ცხადია, ამ გზით რუსეთი დიდხანს ველარ ივლის და შეიძლება, არც შორს არის ის დრო, როცა რუსეთის ცხოვრების კურსი უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამ ჟამად ძნელი სათქმელია, თუ სახელდობ რით დახასიათდება ეს ცვლილება.

დღეს „ველიკოროსსია“-ში მონარქიული მოძრაობა რომ ძლიერია, ამას მოწმობენ ბევრი ფაქტები, რაც შეეხება გერმანიას, მისთვის სრულიადაც უმნიშვნელო საკითხს არ წარმოადგენს ის გარემოება, თუ როგორი სახელმწიფოებრივი ფორმად შეიცვლება ეხლანდელი საბჭოთა მართვა-გამგეობა?

ამ ომმა იმგვარი განწყობილება დაამყარა გერმანიასა და „ველიკოროსსია„ს შორის, რომ უკანასკნელი, როგორც სრულიად სამართლიანად შენიშნავს გაზეთი „ერთობა“ გერმანიის „კოლონიას“ უფრო წარმოადგენს, ვიდრე თავისუფალ სუვერენულ სახელმწიფოს. რუსეთის შინაური მდგომარეობა რთულდება აგრეთვე იმით, რომ ინგლისსა და საფრანგეთს უნდათ ან ხელ-ახლა ჩაითრიონ რუსეთი გერმანიასთან ომში, რაც დასავლეთ ფრონტზე გერმანიის სამხედრო ძალის შესუსტებას გამოწვევს და, თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ, როგორც ამას დაჟინებით იმეორებენ სხვა და სხვა გაზეთები,- საფრანგეთსა და ინგლისს სურთ გერმანიასთან ზავის ჩამოგდება და შემდეგ ძველი რუსეთის მემკვიდრეობის ურთი-ერთ შორის გაყოფა.

აუწერელი ქაოსი, სრული გაუგებრობა სუფევს დღეს რუსეთში. მეტად ძნელი გამოსარკვევია, ვინ არის მისი მოყვარე და მოკეთე და ვინ მტერი, ვისაგან უნდა მოელოდეს რუსეთი ხსნას, თავის ძველ მოკავშირეთაგან თუ ყოფილი მტრისაგან, ლენინ-ტროცკის ბატონობისაგან, სოციალ-რევოლიუციონურ, კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ თუ მონარქიულ პარტიებისაგან. დიდათ საყურადღებოა ამ მხრით მოსკოვის საბჭოს წარმომადგენელის კარახანის დეპეშა, რომლის თარგმანი მოთავსებულია „Kavkazichse Post“-ის №14.

„გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ბუში და გერმანიის ელჩი მოსკოვში ფ. ჰელფერიხი“, ამბობს კარახანი, „ირწმუნებიან: კონსტანტინეპოლიდან მათ მიიღეს დეპეშები, სადაც იუწყებიან, რომ ოსმალეთის ჯარმა, თანახმად გერმანიის მოთხოვნილებისა, შეაჩერა ბაქოსაკენ შეტევა და წინსვლა, იმ შემთხვევაში თუ კი რომ მიუხედადავათ ამისა, ოსმალოს ჯარი მაინც წინ გაიწევს, ფ. ბუში გვპირდება მაშინ ოსმალეთის ჯარს ისევე უკან დაახევიოს, რადგანაც ამის შესახებ გერმანიას კონსტანტინეპოლში თანხმობა მიუღია. თუ რომ თავის საკუთარი ძალის უქონლობის გამო, მოწვეულ იქნება ინგლისსი დასახმარებლად მაშინ ამ შემთხვევას შეუძლია გამოიწვიოს ოსმალეთის ჯარის ხელ-ახლა წინსვლა და აგრეთვე აიძულოს გერმანია თავის რეგულიარულ ჯარით პირდაპირ საქმეში ჩაერიოს...

შემდეგ დეპეშა აღნიშნავს რომ მას, რა „მენშევიკები“ და მემარჯვენე რევოლიუციონერები ღალატობენ როგორც საბჭოთა რესპუბლიკას ისე ნახევრად განადგურებულ სომხის ერს, და აგრეთვე იმასაც, რომ ინგლისელებისაგან მურმანის ნაპირების დაკავება და ჩეხო-სლოვაკების აჯანყება ურთი-ერთ შორის დაკავშირებული არიან, გადმოგვცემს შემდეგ განმარტებას: „ყველა ამ მოვლენათა უკან იმა-

ლება ერთი და იგივე ბოროტება, რომლის სახელი ინგლისს-საფრანგეთის იმპერიალიზმია.

ფრანგულ-ინგლისურ მძარცველთ რუსეთის ხარჯით უნდათ დასავლეთ ფრონტზე თავის მდგომარეობა გააუმჯობესონ. ამიერ კავკასიის აოხრებით, ბაქოს განადგურებით და სომხის ხალხის ამოჟლეტით ინგლის-საფრანგეთის მთავრობის აგენტებს უნდათ გერმანიის წინააღმდეგ ახალი ფრონტი შექმნან.“

რუსეთის რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობა დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი. მას მოყვრებზე მტერი მეტი ჰყოლია, მხოლოდ ამაზე კიდევ უარესი ის არის, რომ მას არ აქვს ნათლად გათვალისწინებული, საიდან უნდა ელოდეს მტერს და საიდან მოყვარეს, რევოლიუციის გადარჩენაზე უფრო უნდა იზრუნოს, თუ რუსეთის მთლიანობის დაცვას მოანდომოს თავის სუსტი ძალა. აქედან კი თავის დავათ გამომდინარეობს „ბოლშევიკები“ს პოლიტიკის გამოურკვევლობა, საერთო არევ-დარევა, ქაოსის გაძლიერება, მტრების რაოდენობას აქ აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, როგორც განსაზღვრულ პოლიტიკის უქონლობას, იმ პოლიტიკის რომელიც ერთ დასახულ მიზნისაკენ სრული შეგნებით, გაასკეცებულ ენერგიით უნდა მიილტვოდეს. ამიტომ საეჭვოა, რუსეთი თავის საკუთარი ძალით გამოვიდეს იმ გაჭირებისაგან, რომელშიაც ის დღეს ერთიანად ჩაფლულია. მხოლოდ ახლო მომავალი დაგვანახებს, როგორი „პოლიტიკური კომბინაციის“ ფორმით ჩაერევიან მის შინაურ საქმეებში.

დ.

საქართველოს ლაშქრის შტაბის სტამბა

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მის მტრებს ძილი გაუფრთხათ. ისინი სცდილობენ დასწვან, დაანგრიონ ჩვენი სახელმწიფოს ქონება ნამდვილად როგორა საქმე.??

საქართველოს ქონება თუ დაიღუპა, თუ ჩვენი სახელმწიფო დაზიანდა, ყველაზე მეტად ვინ იზარალებს? რასაკვირველია, თვით ჩვენი მუშა ხალხი, უმეტესად ქართველობა.

ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენივე მუშები საქმის უცოდინარობით საზარალო ბიჯს სდგამენ.

მოგეხსენებათ, ჩვენს დედა-ქალაქში არსებობს ერთი უძველესი სტამბათაგანი, დღემდე კავკასიის ჯარის შტაბის სტამბად წოდებული, რომლის დაარსება-გაძლიერებაშიაც ქართველ მხედრობას არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის. ამ სტამბას აქვს საკუთარი საელექტრონო სადგური 18 მანქანით, ასოს ჩამოსახმელი ქარხანა, საკაზმავი, საბეჭდავი და სხვა. ასოც დიდძალი არის და მიუხედავად იმისა, რომ ეს სტამბა საქართველოს გულში არსებობს და თითქმის ყოველნაირი ასო (რუსული, ფრანგული, სომხური, აფხაზურიც კი დ სხ.) მოეპოება, ქართული ერთი ასოც კი არ იყო. მუშებიც უმეტესად ისეთი რუსები იყვნენ და არიან, რომელნიც საქართველოს თვით არსებობას მტრულად უყურებენ, რევოლიუციის ხანაში არა ერთმა და ორმა მოითბო აქ ხელი. ბოლოს როცა იგრძნეს ეს სტამბა ხელიდან წაგვივაო, დაღუპვაც კი მოუნდომეს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საჭირო შეიქნა ამ სტამბის პატრონობა და ახალ წესზე მოწყობა. სტამბის გამგედ მოიწვიეს (ივნისის 17) შტაბს კაპიტანი ალ. დათიაშვილი, რომელსაც პირველხანად მუშები დიდის სიყვარულით და სიხარულით შეხვდენ. ალბათ იფიქრეს, ეს არის ამ ახალგაზდა კაპიტანს ხელში ჩავიგდებთ და ვისარგებლებთო.

მაგრამ როდესაც ალ. დათიაშვილმა ხასიათი გამოიჩინა, რესპუბლიკის ჯარის შტაბის ქონებას უპატრონა, კარებში ფხიზელი დარაჯები დააყენა, დაიწყო ქართული ასოს მატრიცების მომზადება, შემოსავალ-გასავალს მეთვალყურე მიუჩინა, ყველას წესიერი მუშაობა მოსთხოვა და უმაღლესი მთავრობის მოწერილობის თანახმად, გაეროვნების მიზეზით ზოგიერთი მუშა დაითხოვა,—დაიწყო მის წინააღმდეგ გამოლაშქრებანი... გაჩაღდა შივნით ქურდობა, მანქანების წახდენა, საელექტრონო მანქანების დაზიანება და სხვა. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ მთელი ქარხნის გასაღებებიც კი მოიპარეს. ყოველივე ეს იმით დაგვირგვინდა, რომ სტამბის გამგეს ალ. დათიაშვილს მუქარის წერილი გამოუგზავნეს და ტერორიც დაუნიშნეს. აი საბუთიც:

Гражданинъ начальникъ типографіи! Видя Ваше злоупотребленіе по отношенію къ намъ, рабочимъ типографіи Ш. К. В. О. и професіональному союзу печатниковъ и наборщиковъ г. Тифлиса, мы единогласно заявляемъ Вамъ нашъ рабочій протестъ.

Знаете, что не будетъ жить на свѣтѣ тотъ человѣкъ, который покушается на професіональный союзъ наборщиковъ и печатниковъ, а также на автономную комиссію Т. Ш. К. В. О. Ради спасенія нашихъ автономныхъ „традицій“, русскихъ рабочихъ типографіи, мы ни передъ чѣмъ не остановимся, если даже потребуется для этого человѣческая жертва. Будь-те увѣрены въ этомъ и знайте, что ваша жизнь не будетъ долговѣчна, если вы не уйдете съ нашей типографіи. Да здравствуетъ Автономная комиссія русскихъ рабочихъ типорграфіи Кавказскаго военнаго округа. Ца здравствуетъ професіональный союзъ печатниковъ и наборщиковъ гор. тифлиса.

Рабочая коллегія русскихъ гражданъ
27 іюня 1918 года, г. Тифлисъ.

დათხოვნილი მუშების და მათ მფარველთა თავხედობა იქამდე წავიდა, რომ ეს მუშები თუმცა აქ აღარ მუშაობენ, სტამბიდან მაინც გადაწყვეტილს ჯამაგირს იღებენ (სალიკვიდაციო ფულის აღებამდის), ამავე დროს სხვაგანაც მუშაობენ და სხვა ქართველ მუშებს კი რომელთაც დათიაშვილი იწვევდა სტამბაში, მუშაობის ნებას არ აძლევდენ და არც აძლევენ. შეიქნა საძაგელი მდგომარეობა: სტამბა იძულებული იყო ჯამაგირები ეძლია, თვითონ კი ნამუშევარი არ მიეღო. აქაური რუსის ქვეშევრდომი მუშები თავს ამ სტამბის ბატონ-პატრონად სთვლიდენ.

ბოლოს მიაგნეს ქურდსაც. თვით მუშებმა აღმოაჩინეს. ეს არის ვინმე რუსი დიაჩენკო. ამას აღმოაჩნდა დაკარგული გასაღებები და მრავალი სხვა ნივთები. დამნაშავე შესაფერი ოქმით წარადგინეს სადაც ჯერ არს, მაგრამ ვითომდა მუშების ინტერესების დამცველთა „პროტესტანტებმა“ ეს ავაზაკი ისევ გაანთავისუფლეს—ეს კიდევ არაფერი: ვითომდა მუშათა სახელის დასაცველად სცდილობენ მისი ქურდობის გადაფუჩეჩებას.

ამას თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ ამ მდიდარი სტამბის გადაფუჩეჩება კი არ შეიძლება.

ამ სტამბაში დღესაც მრავლად მოიპოებიან ისეთი პირები, რომელთაც სასაცილოდ არა ჰყოფნით საქართველოს რესპუბლიკა, მისი ქონება და საზოგადოდ ქართული მწერლობა და ბეჭდვითი სიტყვა. საჭიროა ამ ბოროტების აღმოფხვრა. ამ ხულიგანურ თავგასულობას ხელს აფარებენ სხვებიც. საჭიროა მეტის ყურადღებით მოექცენ რესპუბლიკის ამ უამრავ ქონებას და მას მავნე დამღუპავი ელემენტები ჩამოაშორონ.

ი. ა.

სადღეისო საჭიროება.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს თბილისის ბაზარზე სრულებით გაჰქრა ჩვენებური შინამრეწველობის ნაწარმოები. მე მოგახსენებთ იმ აუარებელ შალეულობაზე, რომლითაც სავსე იყო თბილისის მთავარი ქუჩები. ასევეა, თურმე, საქართველოს სხვა ქალაქებშიც. რა იქნა ეს შალეული? ისიც გადამალეს სპეკულიანტებმა თუ ბაზარმა შთანთქა და ახალი დამზადებული მასალა აღარ მოიპოვება გამოსატანად? დიაღ, ბაზარმა შთანთქა დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის ეს შინამრეწველობის ნაწარმოები, როგორც სხვაც ბევრი პირაღებით და შეუწყვეტლივ გააქვთ ჩვენი ქვეყნის ახალ მოკავშირე სახელმწიფოებში.

დღემდე, ქსოვილების უქონლობა-უშოვრობით შეწუხებული ქართული დაბა-სოფლები თუ ქალაქები იმედიანის თვალით უცხოეთისკენ იცქირებოდნენ, იქიდან შემოზიდული საქონელი შიშველ ხალხს შემოსავს და სპეკულიანტების მეოხებით დამყარებულ ზღაპრულ ფასებს დასწევს ფართლეულობაზეო.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერ-ჯერობით, შემოზიდვით არაფერი შემოუზიდიათ: სამაგიეროთ ჩვენს ხალხს ხელიდან ეცლება თავისი საკუთარი ადგილობრივი ნაწარმოებიც და ჩვენი ქვეყანა ამ მხრივაც სახიფათო მდგომარეობაში ვარდება.

სხვა დროს და სხვა პირობებში, არა თუ სასურველი და სასარგებლო, აუცილებელიც არის ადგილობრივ მოჭარბებულ ნაწარმოებთა გატანა უცხოეთის ბაზარზე. დღეს კი ეს მოვლენა მეტის მეტად საგონებელში ჩამოგდებია, რადგანაც სამაგიეროს და შესაფერს რასმეს ვერ ღებულობს ჩვენი ქვეყანა.

დღეს ჩვენს სოფლებში აუარებელი ფული ტრიალებს, შეიძლება ითქვას რომ იგი მოყიჭებული აქვს გლეხს და არავითარ ფასს არა სდებს მას. გლეხი უხალისოდ იმეტებს ფულზე გასასყიდად არსებობის სხვა ნაწარმოებს, რადგანაც ქალაქი სამაგიეროდ ვერ აწვდის მას ფართლეულს, ტანისამოს, მარილს, ნავთს, ჩაი-შაქარს, ფეხსაცმელს.

ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს ჩვენი მთავრობა: იგი გერმანიაში ჰგზავნის წარმომადგენლებს საქართველოსათვის საჭირო საქონლის შემოსაზიდად. გარდა ამისა საჭიროა უფრო არსებითი და მუდმივი საშუალების შექმნა ხალხის შესამოსად. მე მოგახსენებთ საქარხნო და შინამრეწველობის აღორძინება-განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში.

საზოგადოდ საქარხნო მრეწველობის აღორძინება უპირველესი და აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელ ქვეყნის დოვლათის შესაქმნელად და ვაჭრობა-მრეწველობის ასაყვავებლად. იგივე გახლავთ უმთავრესი წყაროთაგანი სახელმწიფო ხაზინის გასაბარაქიანებლად.

დღემდე ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ჩარჩული კაპიტალი ტრიალებდა. უცხო ელემენტებმა ან აღლო ვერ აართვეს ამ მხარეს, ან მათი ნიჰი ჩარჩულს აღებ-მიცემობას ვერ გასცილებია, რომ ჩვენს ქვეყანაში ვერ შეჰქმნეს საქარხნო მრეწველობა. დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანას დაუახლოვდა და მისი ბედის გადაწყვეტაში აქტიურს მონაწი-ლეობას ღებულობს ისეთი დაწინაურებული სამრეწველო ქვეყანა, როგორც გერმანია, ჩვენს ხალხს უფრო მეტი ზრუნვა ჰმართებს თავისი მომავლის გასამტკიცებლად, ჩვენმა ხალხმა ახლავე უნდა გამოიჩინოს უნარი და საჭირო თაოსნობასაკუთარ საქარხნო მრეძველობის აღორწინებისათვის. საჭიროა ამთავითვე მკვიდრი საძირკველი ჩაეყაროს ქართულს საქარხნო მრეწველობის ყოველს დარგს. ამისი ნიმუშები უკვე სჩანს. გაზეთების ცნობით, შემდგარა ამხანაგობა ქაღალდის ქარხნის დასაარსებლად. ეს, რა თქმა უნდა, ფრიად სახეირო საქმეა, მაგრამ ჩვენს გატიტვლებულ სოფელს ვერ შეჰმოსავს, ვერ დაათბობს. საჭიროა დაუყოვებლივ მოეწყოს ჩვენ დაბა-ქალაქებში და სოფლებში სართავი და საქსოვ-საბეჭი ქარხნები. პირველყოფილი შინამრეწველობის ნაშთები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში არსებობს იმერეთ-სამეგრელოში. ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში კახეთ-ქიზიყში, გავრცელებულია შალების ქსოვა, ხალიჩა-ფარდაგებისა და ხურჯინ-მაფრაშების ქსოვა და სხვა. რამდენიმე ადგილას საფეიქრო სკოლებიც მოგვეპოვება. სოფ. საგარეჯოში სკოლის გარდა არსებობს აგრეთვე საქსოვი ქარხანაც, სადაც სოფლის ქალები ქსოვენ საუცხოვო სატინას, ხამს, შალეულს, ტილოს და სხვა.

ჩვენს სოფლებში ფულის გარდა საკმაოდ მოიპოვება მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, კანაფი. ყველაფერი ეს დღეს უცხოეთში გააქვთ, რომ იქიდან ქარხნებში გადამუშავებული ერთი ასად ღირებული შემოგვთავაზონ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კეთილდღება მოითხოვს, რომ ეს მართლა ადგილობრივ დამუშავდეს.

ჩვენს დედა-ქალაქში არსებობს ერთი სართავი ქარხანა ეგრედ წოდებული „ამიერკავკასიის შინამრეწველობის კომიტეტისა“, რომელიც ეხლა საქართველოს რესპუბლიკის ხელში გადავიდა.

კარგი იქნება ასეთი სართავი მანქანები დაიდგას ჩვენი ქვეყნის მეცხვარეობისა და მეაბრეშუმეობის კუთხეებში (ქიზიყში, ალვანში, დუშეთში, გარე-კახეთში, დასავლეთ საქართველოს შინა-მრეწველობის ადგილებში) და იქვე დაარსდეს საქსოვი ქარხნებიც.

ეს საქმე მთავრობამ უნდა იკისროს, დაიხმაროს არსებული სათანადო საზოგადოებანი და აგრეთვე კერძო პირნი, დაეხმაროს მათ თანხის მიცემით და სხვა.

სოფელიც ხალისიანად შეეგებება ასეთს დაწყებულებას და გაუადვილებს საქმის სწრაფად მოწყობას ბინის დათმობით, მოწყობილობით და სხვა. ამას უკარნახებს სოფელს თავისი საკუთარი ინტერესი.

ნ. კ.

დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

15 აგვისტო.

მიღებულია თფილისის რადიო სადგურით.

ბერლინი, 14 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იზერის და სკარპის შუა ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. მერისის სამხრეთით და ლისის სამხრეთ-დასავლეთით, მტერმა შეტევის დროს ვერ გაიმარჯვა. გენერალ ბომეს ლაშქარი. სომას ორივე მხრით და ავრას სამხრეთით ალაგალაგ ბრძოლაა. ლასინის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით მტერმა ისევ დაიწყო შეტევები. კანის ორივე მხრით მტერი ჩვენი ცეცხლით დამარცხდა.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ქვეითა ჯარის უმნიშვნელო ბრძოლაა.

ვენა, 14 აგვისტო. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. ტონალეს მიდამოებში მტერი გუშინ იერიშზე გადავიდა. შუადღის შემდეგ ძლიერი საარტილერიო მომზადებით ტონალის პოზიციაზე შემოვიდა იერიშით, რასაც ჩვენ ველოდებოდით. ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ გრძელდება, სამხრეთ დასავლეთით ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

ალბანეთის ფრონტი. დევოლის ბარის აღმოსავლეთით ჩვენმა ბათალიონებმა დაიჭირეს რამოდენიმე მთა ადგილები.

სტამბული, 14 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. საარტილერიო და საჰაერო ბრძოლაა. ჩვენ გავფანტეთ მტრის მზვერავი რაზმი. ჩვენმა მფრინავებმა ბევრი ყუმბარები ჩამოყარეს მტრის ბანაკზე, ტაფილეს სამხრეთით. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი, 13 აგვისტო. საღამოს სამხედრო ცნობა. ანკრისა და ხვრას შუა დღემ მშიდობიანათ გაიარა. ავრასა და უაზას შუა მტრის შეტევები უნაყოფოთ დამთავრდა.

პარიზი, 14 აგვისტო. სამხედრო ცნობა. ფრანგის ჯარებმა მატცას და უაზას შუა ბრძოლის დროს რიბეკურტი დაიჭირეს. ბელვალის აღმოსავლეთით მტრის შეტევების მოგერების დროს ფრანგებმა ხელთ იგდეს ბევრი ტყვე, რომელთა შორის 2 ბათალიონის უფროსია.

კიევი, 14 აგვისტო. უკრაინის ახალი ლაშქრის შედგენა დამთავრდა. ლაშქარში 5,000 კაცია, უმეტეს ნაწილად გლეხები.

მოსკოვი, 14 აგვისტო. ინგლისელთა საგემო ფლოტილია, „სვერნაია დვინაზე“ დიდათ დააზარალა საბჭოთა ჯარებმა.

სტოკჰოლმი, 14 აგვისტო. ვლადივატოკიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ციმბირში ბოლშევიკური ძალები თანდათან ძლიერდებიან და მაგრდებიან უსურის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ბერლინი, 13 **აგვისტო**. ოფიციალური. 11 აგვისტოს დილას, ჩვენმა მზვერავებმა ფრიე ბაშენის კუნძულებზე(?), ზღვაზე ფლიელონდას ჩრდილოეთით შეამჩნიეს ინგლისელთა დიდი საზღვაო საომარი ძალები, რომლებიც შესდგებოდნენ 25 ხომალდისგან, 5 ჯავშნოსან კრეისერისგან და ამაფეთქებელ ფლოტიდან. ინგლისელთა ფლოტი მიმართული იყო გერმანიის ნავთ-სადგურისკენ. ჩვენმა ჰაეროპლანებმა შეუტიეს ხომალდებს. მათ გაანადგურეს 3 ხომალდი და დანარჩენები უძრავ მდგომარეობაში მოიყვანეს. ჯავშნოსან კრეისერს ყუმბარები დაუშინეთ. მტრის ახალმა მომხმარე ძალებმა მისი უკან დახევა ვერ შეაჩერა. ჩვენ დავკარგეთ ჰაეროსტატი და ჰაეროპლანი. (მიღებულია თფილისის რადიო სადგურით).

მოსკოვი, 13 **აგვისტო**. (გადმოცემულია მოსკოვის რადიო სადგურით ფრანგულ ენაზე ყველას, ყველას ბერლინშიც რუსის ელჩს იოფეს). უკანასკნელ დღეებში ძირითადი ცვლილება მოხდა ჩეხო-სლოვაკების ფრონტზე საბჭოთა ჯარების სასარგებლოთ. მიუხედავათ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის დახმარებისა ჩეხო-სლოვაკები, თანდათან მარცხდებიან. ჩვენი ჯარიც სამი მხრით უახლოვდებიან ეკატერინბურგს. რევოლიუციონურმა ჯარებმა ყოველგან იერიშები მიიტანეს. ჩეხო-სლოვაკები უკან იხევენ და თან მიმოსვლის საშუალებას სპობენ. ეკატერინბურგში მათ გაავრცელეს მოწოდებები რომლებშიაც ამბობენ, რომ ისინი ქალაქს სტოვეიენ. პროლეტარიატის ლაშქარი წინ მიდის და სადგურს სადგურებზე იღებს. სახალხო კომისარი, ტროცკი ათვალიერებს ფრონტს, გადადის ერთ ადგილიდან მეორეზე, რათა ასეთი მაგალითებით და სარევოლიუციო ლოზუნგებით გაამხნეოს პროლეტართა ლაშქარი.

ვოლგა მალე საბჭოთა ხელში იქნება. მუშათა და საბჭოთა ორგანიზაციები საუკეთესო ამხანაგებს გზავნიან ბრძოლის ველზე. რკინის გზის მოსამსახურენი მუშაობენ, რაც ღონე შესწევთ. რუსეთის პროლეტარიატს სურს გამარჯვება და ის გაიმარჯვებს. ჩიჩერინ.

ბერლინი, 15 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იზერისა და სკარპის შუა მზვერავთა მოქმედებაა. ანკრის ჩრდილოეთით ჩვენ მტრისგან გავწმინდეთ ერთი კუნძლი. ჩვენი სანგრები პუასესთან და-მონდ-გამელთან გუშინ მტერმა დაიჭირა.

ბომეს ლაშქარი. არავითარი შესანიშნავი სამხედრო მოქმედება არ მომხდარა. ანკრსა და უაზას შუა საღამოთი ცეცხლის მოქმედება გაძლიერდა. მტრის შეტევები აურასთან და ლასინთან ჩვენ მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონ-პრინცის ლაშქარი. ვესლის სამხრეთით შეტევის შემდეგ ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ სადგ. მრევილის კომანდა. ჩვენმა საჰერო ძალებმა აიძულეს ინგლისელთა ესკადრილია ბრძოლა დაეწყო. ესკადრილიას მიზნად ჰქონდა ერთ-ერთ ჩვენ მიდამოზე მიეტანა იერიში, მაგრამ იძულებული შეიქნა უკან დახეულიყო. დაჰკარგა 5 ჰაეროპლანი. გუშინ ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 24 ჰაეროპლანი და 1 ბალონი.

ვენა. 15 აგვისტო. სამხედრო ცნობა. შეტევები, რომლებსაც მტერი აწარმოებდა ფონტალესთან დამთავრდა სრული მისი დამარცხებით. ბევრი ცდის შემდეგ, მტერმა დაიჭირა ერთი პუნქტი მონტე-კორნოსთან. მაგრამ ეს პუნქტი ჩვენ ისევ უკან დავიბრუნეთ. მთავარ ადგილებზე მტერი გაბრუნდა თავის სანგრებში. ჩვენი მფრინავები დაედევნენ მტერს ტყვიისმფრქვეველის ცეცხლით.

სტამბული, 15 ავგისტო. სამხედრო ცნობა. ფრანგების ჯარებმა რიბეკურის ჩრდილოეთ დასავლეთით დაიჭირა ფერმა (?) და წამოიყვანეს რამოდენიმე ტყვე. დანარჩენ ფრონტებზე ღირსშესანიშნავი არაფერია.

პეტროგრადი, 14 ავგისტო. გაზეთი „სევერნაია კომუნა“ 11 ავგისტოდან სწერს სათაურით „ისევ უნდათ ჩაგვითრიონ ჩვენ საერთაშორისო ომში“. ინგლისელებს და ფრანგებს და მათ აგენტებს რუსეთში. ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ კიდევ იმედი აქვთ ხელ ახლად ჩაითრიონ რუსეთი გერმანიასთან ომში. რუსეთმა უსათუოდ უნდა გაიმარჯვოს შიგნით, რომ აიცილოს გარეშე ომი.

ვოლგის ფრონტის მდგომარეობა. მოსკოვის პრესის ცნობით, შუა ვოლგის ფრონტზე დაიწყო ძლიერი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონერთა და საბჭოთა ჯარების შორის. პირველთა ჯარებს შეადგენს 80000 კაცი, უკანასკნელთა 150000. ბრძოლა გრძელდება საბჭოთა ჯარების სასარგებლოდ. საბჭოთა ჯარები ბრძოლით მივიდნენ სიმბირსკამდის.

მოსკოვში ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ ციმბირის საბჭოს წარმომადგენლები, რომლებიც ამბობენ, რომ ჩეხო-სლოვაკები მივიდნენ მხოლოდ ბაიკალის ტბამდე. ბაიკალის ტბის აღმოსავლეთით მთელი ციმბირი საბჭოთა მთავრობის ხელშია.

მოსკოვი, 14 ავგისტო. ყველა სასურსათო კომიტეტებს, ასლი დეპუტატთა საბჭოს. დეკრეტი მუშათა ორგანიზაციის მოწვევისა პურის დასამზადებლად. 1) შეერთებულ პროფესიონალურ მუშათა კავშირებს. (მათ რიცხვში რკინისგზელებს), საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის კავშირებს, სამაზრო და საქალაქო დეპუტატთა საბჭოებს ეძლევათ უფლება მოწყობისა სურსათის დამამზადებელ რაზმის—მუშებისა და ულარიბეს გლეხებისაგან, პურის შესაძენად მტკიცე ფასებში ან და რეკვიზიციის ძალით მსხვილ მოვაჭრეებისაგან.

2) ყოველ რაზმს სათავეში უნდა უდგეს ამორჩეული პასუხის მგებელნი ხელმძღვანელები, რომლის შემადგენლობაში ცენტრალური და საგუბერნიო საბჭოთა მთავრობა ურევენ თავიანთ წარმომადგენლებს. ყველა ეს წარმომადგენლები პასუხს აგებენ საბჭოთა მთავრობის წინაშე რაზმის კანონიერ მოქმედებისთვის

ბუქარესტი, 14 ავგისტო. რუმინიის პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრი არიონი ლაპარაკობდა კანონ-პროექტზე, რომელიც ეხებოდა ცენტრალურ ბანკის გახსნას სხვა სახელმწიფოთა ვალიუტიანი ვექსილების გასაცვლელად და ბერლინის სახელმწიფო ბანკთან შეერთებაზე, როგორც ხელსაყრელ ფინანსიურ ოპერაციაზე. მან სთქვა: „არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ რუმინიის ეკონომიური ცხოვრება შემდეგში დამყარებული იქნება ცენტრალურ სახელმწიფოთა ურთიერთ შორის განწყობილებაზე. უმეტესად კი გერმანეთთან. გერმანეთი რუმინიაში იყიდის პურს, გერმანიიდან კი რუმინეთი შეიძენს ყოველივე აუცილებელ საჭარო საქონელს. ყოველივე ის, რაც სჭირდება რუმინეთს არ მოვა ინგლისიდან ან ამერიკიდან. ყველა ხალხები შემდეგში იცხოვრებენ ხელსაყრელ და საღ პირობებში ეკონომიურ ცხოვრებისთვის. ყველა მათ, რომლებსაც სწამთ რკინის კედლები, რომლის შემწეობითაც სამთა შეთანხმების სახელმწიფოები ფიქრობენ გერმანიის გამორიცხვას ეკონომიურ ცხოვრებიდან, უნდა იცოდნენ, რომ ეს კედლები, ომის შემდეგ გადაიქცევა ნანგრევებად—ხალხის ნება-ყოფით, იმ ხალხის, რომელიც ეხლა სცხოვრობს თანხმობით და სურს განვითარება და წარმოება“. მინისტრის სიტყვა დაჯილდოებული იყო ტაშით.

ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან

სახელმწიფოს შემოსავლის თანხიდან გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს საჭირო კრედიტი 500,000 მ. ფოსტა-ტელეგრაფის შტატგარეშე დარჩენილ მოხელეთა სალიკვიდაციოდ, თანახმად არსებულ კანონისა ლიკვიდაციის შესახებ.

—

ბათომის და ყარსის ოლქის ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი ჩაითვალოს გაუქმებულად პირველ ივლისიდან.

—

მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება მიიღოს ზომა სოჭის ხაზინის გასაძლიერებლად 100 ათასი მან.

—

იუსტიციის მინისტრისა: კანონ-პროექტი დროებითი საგანგებო სასამართლოს დებულებისა. დადასტურებულ და შეტანილ იქმნას ეროვნულ საბჭოში.

—

გამომძიებელთა ჯამაგირებისათვის დამატებითი ჯილდოს 400 მან. მიცემის შესახებ ათ მილიონიან ფონდიდან მოიხსნას.

—

სასამართლო პალატის შტატები და შტატგარეშე დაქირავებულ მოხელეთა ჯამაგირების გადიდების პროექტი გადაეცეს სახელმწიფო კონტროლიორს თავის აზრის დასასკვნელად.

—

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს სასამართლოს პალატის შტატ გარეშე დარჩენილ მოხელეთა დასაკმაყოფილებლად კრედ. 229,717 მ. 84 კაპ. ლიკვიდაცია უნდა მოხდეს არსებულ წესით, თანახმად ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ კანონისა და მთავრობის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციისა.

—

გაეხსნას განათლების სამინისტროს თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიისთვის 27,400 მ. კრედიტი.

—

მიენდოს სახალხო განათლების სამინისტროს გამოარკვიოს მიწად-მოქმედების და გზათა სამინისტროსთან მოლაპარაკებით ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლისათვის მანქანებისა და სამუშაო მასალების მიცემის შესახებ; პრინციპიალურად მოხსენება დადასტურებულ იქმნას.

—

შრომის მინისტრისა: თხოვნა ბათომ-ტრაპეზონის სამხედრო გზა-ტკეცილის მუშებისა 84 ათასი მან. მიცემის თაობაზე. მიეცეთ მათ თანახმად შრომის სამინისტროს აზრისა საკრედიტო მოწმობანი.

—

თხოვნა მოიჯარადრის მეიშვილისა, ხოპალიმანის გზა-ტკეცილის მუშების დაკმაყოფილების შესახებ. მიეცეს მეიშვილს თანახმად შრომის სამინსტროს წინადადებისა საკრედიტო მოწმობანი.

—

დადასტურებულ იქმნას გზათა მინისტრის მოხსენების აზრი, რომ ქალაქთა კავშირისთვის საავტომობილო საქმის გადაცემა თანამედროვე პირობებში არ შეიძლება და მიზანშეწონილად არ ჩაითვლება.

—

მიეცეს ავანსად მოულოდნელ ხარჯებისათვის გადასადებ კრედიტის ანგარიშში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელს 50,000 მან. ათ მილიონიან ფონდიდან.

—

მიენდოს გზათა და სასურსათო მინისტრს მოახდინოს სასურსათო უწყების თავიდან ბოლომდის გაწმენდა.

—

გადაყენებულ და სამართალში მიცემულ იქნას სერგიევსკი ქრთამის აღებისათვის.

—

მიენდოს სასურსათო სამინისტროს მოაწყოს გაცვლა მარილისა პურზე, ხოლო მარილის მონოპოლიის შემოღების შესახებ საკითხის გასინჯვა მიენდოს ფინანსთა მინისტრს.

—

რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის შესახებ, რათა რუს მონოზანნი დაბრუნებულ იქმნენ ბოდბის მონასტრის მეტოქში თბილისს—უყურადღებოდ იქნას დატოვებული.

—

მიენდოს გზათა მინისტრს შეადგინოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც გადასინჯავს დათხოვნილ და დასათხოვნ მოსამსახურეთა სიას და სათანადო განცხადების შემოსვლისას განიხილავს ყოველ კერძო შემთხვევას დათხოვნილ მუშების შესახებ; რაც შეეხება სასანიტრო საქმესთან სარკინისგზო კომიტეტის დაკმაყოფილებას, ამის შესახებ მსჯელობა გადაიდოს.

ახალი ამბები.

მთავრობაში.

○ გზათა სამინისტროს, საავტომობილო განყოფილების განკარგულებაში არის 600 ავტომობილი. ფოსტის და მგზავრების გადასაყვანად განყოფილებამ დააარსა 20 ტრაკეტი.

○ გრძელდება მიღება იმ საიმედო პირთა, რომელთაც ჰსურთ ჩაეწერონ საპყრობილეთა დამცველ რაზმში. რაზმი შედგენილი იქნება სასტიკ დისციპლინის წესით. მსურველნი უნდა გამოცხადდნენ საპყრობილეთა ინსპექციაში, განოვის ქ., № 11.

○ გაზ. „ვოზროჟდენიეს“ დახურვა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურეს გაზეთი „ვოზროჟდენიე“. რედაქცია და სტამბა დაბეჭდეს.

○ საპყრობილეთა ინსპექცია ამზადებს პროექტს მთავრობაში წარსადგენათ ტუსაღების სავალდებულო მუშაობის შესახებ. ტუსაღნი იმუშავებენ სახელმწიფოს სასარგებლოთ. მუშაობა იწარმოებს ციხის გარეშე.

სახალხო განათლება.

○ მარიამობისთვის 19-დან საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსებზე დაიწყება მეცადინეობა სპეციალურ დარგებში. ხსენებულ კურსებზე ახლად ჩამოსულნი სამშაბათიდან, ამ თვის ოციდან არავითარ შემთხვევაში აღარ იქნებიან მიღებულნი, თუნდაც მათ განათლების სამინისტროდან ანუ კურსების ხელმძღვანელ კომისიისაგან მინიჭებული ჰქონდეთ ამის უფლება.

○ ფოთი. მომავალ სამოსწავლო წლიდან ნ. ბ. ლოლუას ქალის ფოთის პროფესიონალურ სკოლასთან გაიხსნება პროგიმნაზიის მეორე კლასი. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 ავგისტოდან. 1 კლასში არის 9 ადგილი, მეორეში—11.

○ ახალ-სენაკის ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყება 2 ენკენისთვიდან ახალი სტილით. თხოვნები მიიღება 30 ავგისტომდის.

○ ხონის ვაჟთა გიმნაზიაში მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდან თავისუფლდება შემდეგი საგნების მასწავლებლების ადგილები: სიტყვიერებისა, ბუნებისმეტყველებისა, ფრანგული და გერმანულ ენებისა და ხაზვა-ხატვისა. მსურველებმა თხოვნა და შესაფერი დოკუმენტები ხონის ვაჟთა გიმნაზიის გამგის სახელზე უნდა გამოგზავნონ.

ხელოვნება.

○ ქართულ ჰიმნთა შეჯიბრება. ქართველთა სამხედრო კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შესაჯიბრებლად 11 ჰიმნი. ჰიმნთა შეჯიბრებას კავშირი მართავს მიმდინარე წლის 25 ავგისტოს. შეჯიბრების მოწყობაში მონაწილეობას იღებს გარდა კავშირისა, აგრეთვე ხელოვნების სექცია ეროვნულ საბჭოსი. არჩეულ არიან წევრნი ჟიურისა, ჰიმნთა განსახილველად და დასამტკიცებლად. მოწონებული ჰიმნი წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად, რის შემდეგაც ჰიმნი დაკანონდება საყოველთაოდ შესასრულებლად. მოწონებული და დამტკიცებული ჰიმნი დაიბეჭდება და დაეგზავნებათ საქართველოს რესპუბლიკის მოკავშირეთა სახელმწიფოს და ნეიტრალურ მთავრობათ. ჰიმნები უკვე შესწავლული აქვთ ქართველთ-სამხედრო კავშირის ქალვაჟთა გუნდს, რომელიც გაძლიერებულია—ამ შემთხვევისათვის 100 სულამდე.

○ თბილისში ჩამოვიდა თბ. კონსერვატორიის ახლად დანიშნული დირექტორი პროფ. ჩერეპნინი.

გამომცემლობა.

○ რედაქციამ მიიღო ი. გაბილაიას რედაქტორობით ჟ. „კოოპერაცია“ შემდეგი გამოცემანი ქართულ ენაზე: 1) „ოქროს წყარო“ ლუჩიანო ბაროკსისა, 2) „პოლიტიკური ეკონომიური საფუძველნი (შესავალი) შ. ჟიდისა, 3) „სამეფო მომხმარებლისა“ შ. ჟიდისა. 4) „კოოპერაცია №№ 1, 2, 3, 4, 5) „ახალი საკოოპერაციო კანონი და 6) შენიშვნები მიწის კანონის შესახებ“ ვლ. ემუხვარისა.

ადმინისტრაცია.

○ ქალაქში წესრიგის დაცვის და საზოგადო თავდაცვის საკითხების გამოსარკვევად, შინაგან სამეთა მინისტრმა აცნობა საგუბერნიო კომისრებს, რათა მათ წინადადება მისცენ სამაზრო ადმინისტრაციას ყოველ თვიურათ მოიწვიონ რაიონის წარმომადგენლები და უბნების კომისრები აღნიშნულ საკითხების გასარჩევად.

○ ს. კოლაკიდან (სიღნ. მაზრ) თბ. აღმასრულებელ კომიტეტის სასოფლო კომისიას ატყობინებენ რომ რაიონის კომისარმა ოგანოვმა „ეგზეკუცია“ ჩაყენა ხსენებულ სოფელში და გლეხებს მთავრობის სახელით 2 ათასი მანეთი გადაახდევინა. მილიციონერებისთვის 400 მან.

სასამართლო.

○ ნ. წულუკიძის პროცესი. ტფ. სარევოლიუციო ტრიბუნალმა ავგისტოს 14-ს დაიწყო გარჩევა ყოფილ ხამხედრო და საზღვაო მინისტრის ვ. გობეჩიას მკვლელის ნიკ. წულუკიძის საქმისა. ჯერ ჯერობით მხოლოდ მოწმეთა დაკითხვა სწარმოებს. საქმის გარჩევას მრავალი ხალხი ესწრება. პროცესი რამოდენიმე დღეს გასტანს.

გაფიცვა.

○ 11 ავგისტოდან გაიფიცნენ ტყვიბულის მაღაროების მუშები. თხოულობენ ხელფასის 50 პროც. გადიდებას, სურსათს, ჯამაგირის დროზე მიღებას ხურდა ფულით და სამუშაო მასალების დროზე მიღებას. თუ ეს პირობები იქნება დაკმაყოფილებული, მუშები პირობას იძლევიან, რომ დღეში 17 ათასი ფუთი ნახშირის მაგივრად დაამუშავებენ 35 ათას ფუთს. მაღაროების მმართველი ინჟინერი აბაშიძე გზათა სამინისტრომ გამოიწვია მოხსენებისათვის.

ხოლერა.

○ საგუბერნიო სასანიტარო კომისიის განკარგულებით დუშეთის მაზრაში გაიგზავნა სანიტარული რაზმი ხოლერასთან საბრძოლველად.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 6 ხოლერიანი დ 3 ხოლერის ნიშნებით. მორჩა და გამოეწერა 9. გარდაიცვალა 2. 12 ავგისტოსთვის სულ იყო 91 ხოლერიანი და 16 ხოლერის ნიშნებით.

„ბალშევიკური“ მოძრაობა

○ ყაზბეგიდან გვატყობინებენ, რომ კავკავი ყაზახებმა დაიჭირეს. დამარცხებულმა ბალშევიკებმა უკან დაიხიეს, დაიჭირეს ახლო მიდამოები და ესვრიან ქალაქს. ძალა ყაზახთა მხარეზეა, რომელთაც მხარს უჭერენ ინგუშები.

სურსათი.

○ 14 ამ თვეს ქ. თბილისში ჩამოვიდა მთავრობის რწმუნებული პურის დამზადების საქმის ბორჩალოს მაზრაში ა. ს. ლორთქიფანიძე, რომელმაც დაწვრილებით მოახსენა საქმის მდგომარეობა პურის დამზადების შესახებ გზათა და სურსათის მინისტრს ბატონ ი. ლორთქიფანიძეს. მან მოახსენა რომ დღემდინ არის დამზადებული 20000-მდე ფუთი, რომელიც არის ნაყიდი ხორბალი 40—60 მან. ფუთი და ქერი 25—40 მან. ფუთი. ამ რიცხვიდან ქ. თბილისში არის გამოგზავნილი 12000 ფუთი და ნიგოითში ერთი ვაგონი.

○ მილიციის უფროსის ბრძანებით თანახმად თბ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების დადგენილებისა—აღკრძალულია საკანდიტეროებში და კაფეებში თეთრი ფქვილისაგან ნამცხვრების, შოკოლადის სხვა და სხვა ტკბილეულობის და ნაყინვის მომზადება.

○ სასურსათო სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით კახეთში პურის მოსავალი კარგია. დათესილი ადგილი შარშანდელზე ორჯერ მეტია. დესიატინაზე საშუალოთ 80 ფუთი ქერი მოვიდა. მუშა ხელი ძალიან ძვირი იყო—15 მან. დღეში. პურის ფასი სპეკულიანტებმა გაადიდეს. პურის მოსავლამდის ივნისში ისინი 50 მან. ზეს აძლევდნენ ფუთ პურზე. ეხლა ბევრმა მათგანმა პური მიწაში ჩაფლო ფასის გადიდების მოლოდინში.

ბოროტმოქმედება.

○ 14-ს ავგისტოს, დილის 7 საათზე ს. ალექსანდროვიჩის სახლში, ახალციხის შესახვევში № 15, შევიდა 3 შეიარაღებული კაცი სისხლის სამართლის მილიციის სახელით. წაიღეს 40,000 მანეთის ძვირფასი ნივთები და მიიმალენ.

ერობა.

○ რესპუბლიკაში ერობის შემოღების მთავარმა ინსტრუქტორმა ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებში გაგზავნა ინსტრუქტორები. ხსენებულ გუბერნიაში არჩევნები კარგათ მიდის, გარდა ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრებისა, სადაც არჩევნებს ხელს უშლის ანარქია. სენაკის მაზრაში არჩევნები დამთავრდა. ფოთში ამორჩეულია ორი ეროვ. დემოკრატი და ორი სოც. დემოკრატი. თბილისის და გორის მაზრებში არჩევნები კარგად მიდის.

სხვა და სხვა ამბები.

○ რუსის ეროვნულმა საბჭომ დროებით შესწყვიტა ლტოლვილთა ფურგონებით გზავნა საქართველოს სამხედრო გზით.

○ გუშინ 16 მარიობისთვეს ჩამოვიდა ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი და სპირიდონ კედია. აგრეთვე ჩამოვიდნენ ფოთით გერმანიიდან ქართველი ტყვეები, 150 ჯარის კაცი დ 50 აფიცერი, მათ შორის გენ. თოფურიძე.

○ რუსთა ერ. საბჭოს წარმომადგენელმა ლ. ეზერსკიმ ფოთსა, სოხუმსა, სოჭასა და ტუაფსეში გემები დაიქირავა ლტოლვილთათვის.

○ რუსის ეროვნულმა საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო სადგ. კობიდან: „კავკავში ბრძოლაა. გზა არ არის, ფურგონები დაკავებულია კობში და ყაზბეგში, მდგომარეობა აუტანელია“.

○ კავკავში გაემგზავრა ცუგმაიერი გერმანიის საელჩოს რამდენიმე წევრით, ყაზახთა მთავრობასთან კონტაქტის დასაჭერად.

○ სომეხთა კორპუსის უფროსის ბრძანებით გამოცხადდა სომხის ჯარის სრული დემობილიზაცია. შემდეგ გამოცხადდება ახალი მობილიზაცია მხოლოდ 1 დივიზიის შესადგენად თანახმად სომხეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებისა.

○ საგანგებო რაზმმა დააპატიმრა კადეტთა პარტიის თბ. კომიტეტის წევრნი: ზერცალოვი და კუშკე. პირველი უკვე გაანთავისუფლეს.

უკრაინის ამბები.

ჩვენს რედაქციას ეწვია უკრაინიდან ახლად ჩამოსული ს. თ. ს—კო.

იგი განსაკუთრებული დავალებით არის ჩვენში ჩამოსული.

მან უკრაინის ცხოვრებიდან ბევრი ჩვენთვის სრულიად ახალი ამბავი გვიამბო.

უკრაინაში მომხდარ რკინის გზის გაფიცვის შესახებ სთქვა, რომ „ეს მოაწყო ფარულმა კომიტეტმა; გაფიცვა 17 ივლისს გამოცხადდა.

ამ გაფიცვის გამო ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ეს არ არის წინდაწინ მოწყობილი, არამედ სტიქიურია და მის სალიკვიდაციოთ ყოველი ზომებია მიღებული.

გაფიცვა მოხდა უმთავრესად რკინის გზის მოსამსახურეთა ჯამაგირის მიეულებლობის ნიადაგზე. ჯამაგირი კი ვერ მისცეს იმიტომ, რომ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის შემცირების გამო რკინის გზის შემოსავალმა ოთხჯერ დაიკლო და არც ტარიფია მომატებული. ეხლა კი გაადიდეს, რომ ამით მოწესრიგდეს დეფიციტის ანაზღაურება. საერთოდ, რომ ხაზინის შემოსავალმა იმატოს მაგარ სასმელებზე მონოპოლიასაც აარსებენ. ფული კი უკრაინისათვის ლეიპციღში იბეჭდება.

არის ხმები, რომ რკინისგზის გაფიცვა უმთავრესად მიტომ მოხდა, რომ გერმანლებს ხელი შეუშალონ პურის გაზიდვაშიო. თუმცა მათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით მოსავლის 80 პროც. წაღების უფლება აქვთ.

მოსავალი შუათანაა, ზოგან კი ძალიან კარგი. გერმანელებს სოფლებში და საერთოდ გლეხთა შორის სურსათის რეკვიზიცია არ მოუხდენიათ, გააქვთ უმთავრესად დიდი საწყობებიდან.

გარეშე ელემენტები აგიტაციით მოეფინენ მთელ მხარეს, რომ მომავალისთვის არა დაეთესათ რა, და რომ ამ აგიტაციას ნიადაგი არ მომაგრებოდა ჩაერივნენ საქმეში და აიძულეს ყანების დათესა.

ცენტრალურ რადას მიერ გამოცემული დეკრეტი მიწის შესახებ, სადაც უმრავლესობა ესერები იყვნენ, უარყოფილია. მიწის საკითხს ხელახლა გადასწყვეტს სეიმი.

რაც შეეხება სასურსათო საქმეს, ის ახლა რამოდენიმეთ მოგვარებულია, მაგალითად ქერის ფქვილი ღირს 35 მან.,—პურის 45 მან. ქალაქებში ფასი კი ცოტა მომატებულია, თუმცა საერთო სპეკულიაცია ძალიან დიდია.

ჰეტმანის მთავრობა ამ ჟამად მხოლოდ გერმანულ ჯარებს ემყარება, რომლის რაოდენობა თითქმის ნახევარ მილიონამდე აღწევს და სხვა და სხვა ქალაქებშია დაბანაკებული. ხერსონში კი ავსტრო-უნგრეთის ჯარები სდგას.

თავისი ნამდვილი ჯარი კი უკრაინას ჯერ არა ჰყავს. მხოლოდ ეხლა აგროვებენ, ამზადებენ, რაზმებს ადგენენ, რომლის მოწესრიგება მხოლოდ შემოდგომისათვის დამთავრდება.

საერთოდ უკრაინაში აღმაშენებლობის პროცესი სწარმოებს, მხოლოდ ცოტათი ხელს უშლის დონის მხარე, რომელსაც არ სურს უკრაინასთან დამოკიდებულება იქონიოს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის განმტკიცებამდე.

ნაციონალური უმცირესობა შევიწროვებულად გრძნობს თავს, რადგან სეიმმა კულტურულ-ეროვნული ავტონომია უარჰყო, რომელიც წინად ცენტრალურ რადის მიერ დამტკიცებული იყო.

ამის გამო უმცირესობათა წარმომადგენლებში უკმაყოფილებაა, განსაკუთრებით კი ველიკოროსებში, როგორც ყველგან, რადგან ვერ შერიგებიან გუშინდელ ბატონობის შეზღუდვას.

ჰეტმანის მთავრობა სოციალისტ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ მოქმედებს, რის გამოც ეს პარტია არალეგალურ მდგომარეობაში ჩავარდა: ისინი წითელ ტერორს არ აწარმოებენ, როგორ ავრცელებენ ხმას.

ეიხგორნის მოკვლა კი მოსკოვის მემარცხენე ესერების საქმეა.

როგორც გზაში გავიგე მოკლულ ეიხგორნის მაგიერ გერმანიას თავის ჯარების უფროსად კირბახი დაუნიშნავს.

საერთოდ გერმანელები არ არიან კმაყოფილნი, თუმცა უმრავლესობა იმ აზრისა არის, რომ ვინც უნდა იყოს, ოღონდ წესრიგი ალადგინოს.

ხელშეკრულების რატიფიკაცია უკვე მოხდა უკრაინის საერთაშორისო მდგომარეობა ცენტრალურ სახელმწიფოების მიერ აღიარებულია, მხოლოდ ავსტრო-უნგრეთს არ დაუცია დასტური გალიციის საკითხის გამო“.

ჩვენს შეკითხვაზე: როგორია მოსაზღვრე სახელმწიფოებთან დამოკიდებულება, ს. ს—კომ გვიპასუხა:

„რუმინიის მიერ ბესარაბიის ანექსიის გამო უკრაინის მთავრობამ რუმინიას პროტესტი გამოუცხადა.

ყირიმის მხარე ცალკე რესპუბლიკათ მოეწყო; პრეზიდენტათ სულეიმან სულკევიჩია არჩეული, რომლის მთავრობაც სიმფეროპოლში იმყოფება.

მოსაზღვრე ბელოროსიაც თითქო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, მაგრამ მაინც რუსეთის დიდ ფედერაციას ებღაუჭება, თუმცა ნახევარი მხარე ნემცებით არის დაკავებული.

ველიკოროსიასთან კი უკრაინას ამ ჟამად საკონფერენციო მოლაპარაკება აქვს გამართული, სადაც უკრაინის წარმომადგენლებმა ველიკოროსებს ანგარიში წარუდგინეს ბოლშევიკური მოძრაობის მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ველიკოროსები ძალიან სცდილობენ ამ ანგარიშის შემოკლებას, მაგრამ უკრაინელ დელეგაციის თავმჯდომარე შელუხინი არაფერს არ უთმობს.

უკრაინიზაციის შესახებ ბატონ ს—კომ გვიპასუხა: უკრაინულ რადის მიერ დამტკიცებული დადგენილება, რომ ვისაც დაწესებულებებში სამსახური სურს სამი თვის ვადაში შეისწავლონ უკრაინული ენაო, ეხლა ეს დადგენილება შეიცვალა ამ რიგათ, რომ შეიძლება ორივე ენის (რუსულისა და უკრაინულის) ხმარება იმ დაწესებულებებში, სადაც ზოგიერთ უწყებების უფროსნი რუსები არიან, მაგალითად როგორც მიწად მოქმედების სამინისტროში მინისტრი კოლოკოლცევი და ფინანსთა სამინისტროში რჟეპეცკი. თუმცა სახელმწიფო მდივანმა ბრძანება დაგზავნა რადგან მთარგმნელები არა ჰყავს ყველა ქალალდები უკრაინულ ენაზე აწარმოვეთო.

საქართველოს რესპუბლიკასთან უკრაინის საელჩოს წარმომადგენელათ უნდა დაინიშნოს ერევნის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ბ. კულინსკი, რომელიც აპირებდა აქეთკენ გამომგზავრებას, მაგრამ მოძრაობის შეწყვეტის გამო ალბათ დაიგვიანებს.

უმთავრესი ჩემი მისია არის აქედან წამსვლელ უკრაინელების მგზავრობის მოწყობა და გემების დაკვეთა, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან სათანადო შუამდგომლობას აღვძრავ.

აგრეთვე უნდა მოვაწყო არტაანის ოლქში მყოფ დუხაბორების გადაყვანა.

აქ ჩვენი კონსულის მაგივრობას დროებით გასწევს ბ. ხიმენკო.

ასე დაამთავრა ამ ახლო ხანებში მომხდარი უკრაინის ამბები და თან დაგვპირდა, რომ უკრაინიდან მიღებულ ყოველივე ოფიციალურსა და საგულისხმიერო ამბავს, როგორც კი მოსახერხებელი იქნება, იმწამსვე დაწვრილებით გაცნობეათო.

ბანკეტი ჩვენი მთავრობის პატივსაცემად.

ავსტრო-ჰუნგრეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ბ. ფრანკშტეინმა „კ. პ.“-ის გადმოცემით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პატივსაცემად სასტუმრო „პალას - ოტელში“ ბანკეტი გამართა, რომელსაც სხვათა შორის დაესწრნენ ხალილ-ფაშა და აგრეთვე ადერბეიჯანის და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელნი. ბანკეტზე თქმულ სიტყვათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თვით ბ. ფრანკშტეინის სიტყვა. მან გაიხსენა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს 1914 წ. ქ. ბრემენში:—მე, განუცხადებია იმპერატორს, არ ვსცნობ პარტიებს, მე ვცნობ მხოლოდ გერმანელებს. ანალოგიური დევიზებით მიუმართავს ბანკეტზე ქართველებისადმი აგრეთვე ბ. ფრანკეშტეინს, რომელსაც დელეგაციის სახელით განუცხადებია, რომ ისინი არ სცნობენ პარტიათა განსხვავებას, ისინი სცნობენ მხოლოდ ქართველებს.

ბ. ფრანკშტეინი თავის დევიზს აყენებს უფრო იმ პირთა საყურადღებოდ,რომელნიც ვიწრო პარტიული ინტერესებით იმდენად არიან გატაცებულნი, რომ ავიწყდებათ ერის და ქვეყნის ინტერესები, ან არ აქცევენ ამ ინტერესებს ჯეროვან ყურადღებას. თუ კი თვით საზოგადოებას მოელის რაიმე გარემოება, სიკვდილით ემუქრება მის მთლიანობას, მაშინ ამ მთლიანობის დაცვის საჭიროება აშკარავდება და დღის საჭირბოროტო საგნად ხდება ყველა პარტიისთვის. სწორედ ამ მხრით აქვს მნიშვნელობა ბ. ფრანკშტეინის ზემო მოყვანილ სიტყვებს. ერიც, დაყოფილი ნაწილებად, შეიგნებს რა საერთო საფრთხეს, ერთდება, რათა ამ გზით უზრუნველ ჰყოს თავის არსებობა. მსოფლიო ომმაც გამოაშკარავა ამ შეხედულების სიმართლე და უნდა დაუმატოთ, რომ ამ სიმართლემ იმ ქვეყნებში უფრო ნათლად იჩინა თავი, რომელნიც კულტურული განვითარების მხრით, უფრო მაღალ საფეხურზე სდგანან.

ყველა პოლიტიკური პარტიები დღეს მაინც უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ ამ ჟამად უპირველეს ყოვლისა ერთი დიდი, საერთო ისტორიული მიზანი აქვთ განსახორციელებელი. ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობა, მისი განმტკიცება და აყვავება.

ბ. ფრანკშტეინის სიტყვით, ცენტრალური სახელმწიფონი ეცდებიან თავისი კულტურით, გამოცდილებით და ყოველივე ღონისძიებით დახმარება გაუწიონ საქართველოს მის აღორძინების და განვითარების პროცესის დროს.

ქართულ გერმანულ სავაჭრო პალატა.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო „ქ. თბილისის ქართულ გერმანულ სავაჭრო პალატის წესდება“.

პალატის მიზანია „ხელი შეუწყოს საქართველოს და გერმანიის ეკონომიურ დაახლოვებას ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესების ნიადაგზე“. ამ მიზნით, პალატა, მუდმივ დამოკიდებულებაში იქნება კავკასიის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებთან, აგრეთვე საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებასთან, რითაც ხელი უნდა შეუწყონ გერმანიასა და საქართველოს შორის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. პალატა აცნობს მთავრობას, საზოგადოებას და კერძო დაწესებულებებს ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესს; ბეჭდავს ყოველგვარ გამოცემებს,რაიც კი პალატის საწარმოებელ საგნებს შეეხება. აგროვებს დაავრცელებს ყოველგვარ სტატისტიკურ ცნობებს რომელიც კი ვაჭრობა-მრეწველობას შეეხებიან. მართავს შეჯიბრებებს, მუდმივსა და დროგამოშვებით გამოფენებს იმ საქონლისას, რომლის გატანა შეიძლება საქართველოდან გერმანიაში, ან მოტანა გერმანიიდან საქართველოში.აარსებს მუზეუმებს, სპეციალურ ბიბლიოთეკებს და სხვა.

როგორც წესდებიდან სჩანს ამ ახლად დაარსებულ ქართულ-გერმანულ სავაჭრო პალატას ჩვენი ქვეყნისთვის ფრიად სასარგებლო და საჭირო საქმის გაკეთება დაუსახავს მიზნად. ვუსურვებთ რომ პირველი ნაბიჯი მტკიცედ და ამ საქმისადმი სიყვარულით გადაედგას, რომ სასურველი შედეგი მოეტანოს ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოთ და ამისი ეკონომიური პირობების ასაყვავებლად.

სომხეთის ამბები.

ქ. შუშიდან იუწყებიან, რომ ქალაქში მშვიდობიანობაა. ამ რამდენიმე დღის წინათ მშვიდობით მოვიდნენ შუშაში ჩვენი ქალაქის თავი და მასთან ერთად სხვა მგზავრებიც. ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში სიწყნარეა. სომეხ-თათრის ურთიერთობა მეგობრულია და მშვიდობიანი. ქალაქში ფულის კრიზისია. გირვანქა ჩაი 100 მანეთია. შაქარი გირვანქა 17 მან. თეთრი პური გირვანქა 90 კაპ., შავი—60 კაპ.

გუმბრის (ალექსანდროპოლის) ქალაქის თავი ლ. სარქისიანი თბილისს ჩამოსულა. თანამდებობისათვის მას თავი დაუნებებია.

ამ დღეებში თბილისის თვითმართველობის დარბაზში მოხდება საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ეროვნულ საბჭოს პირველი საჯარო სხდომა, რომელზედაც აირჩევა პრეზიდიუმი. აგრეთვე განხილულ იქნება სხვა და სხვა საკითხები.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სიკვდილით დასჯა.

ფინური ბურჟუაზიული გაზეთები სავსეა წერილებით, რომელშიაც რევოლიუციაში მონაწილე სოციალისტებისადმი თხოულობენ სასტიკი ზომების მიღებას და სიკვდილით დასჯასაც კი.

800.000 დატყვევებული.

სტოკჰოლმიდან ცნობაა, რომ ფინლიანდიაში 800.000 კაცია დაჭერილი, რომელთაც რევოლიუციაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ.

მუშების მოძრაობა.

როგორც მოსკოვიდან იუწყებიან, პეტროგარდის კონფერენციაზე მოსკოვის ქარხნების მუშათა რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა მთავრობის წინაღმდეგ არა თუ მარტო მოსკოვში, არამედ ბევრ სხვა და სხვა ქალაქებშიაც არიან. საბჭოთა მთავრობის მოქმედების გაგრძელებას რუსეთისათვის დამღუპველად სცნობენ და მოითხოვენ სასწრაფოდ დამფუძნებელი კრების მოწვევას.

გრიბოედოვი და დერჟიმორდები.

ტამბოვში, საბჭოთა თეატრში პიესა „ვაი ჭკუისაგან“ წარმოდგენის დროს, როდესაც სცენაზე პოლკოვნიკი სკალოზუბი გამოვიდა, ბალშევიკებმა ასტეხეს ყვირილი: „მოხსენით პაგონები, მოხსენით“.

საქართველოს სამხედრო გზა.

თეგრის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ რუსის ეროვნულ საბჭოს შეატყობინა, რომ გზის დაკეტვა და ამიერ-კავკასიის ლტოლვილთა მოძრაობის აკრძალვა არა ვრცელდება ამიერ კავკასიაში მცხოვრებ რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეებზე, რომელნიც საერთო სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ლიკვიდაციისა, შტატების შემცირების და ნაციონალიზაციის გამო სტოვებენ საქართველოსა, ადერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების ტერიტორიას. მხოლოდ წამსვლელებს უნდა ჰქონდეთ რუსის ეროვნულ საბჭოს მოწმობები.

განცხადებები

გაიხსნა

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი



განყოფილებანი: 1) ჩერქეზიშვილის ქ., № 57, 2) მიხეილის ქ., № 116 და 3) წყნეთის ქ. № 26. 6—1

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის სამხედრო ნაწილის მთავარი გზის კომიტეტის სასურსათო კომისია სადგ. სანაინის და შაგალის ბუფეტების და სავაჭრო კარვების მოიჯარდერეს დავით კალაძეს და აშაგასერალის—სერაფიონ ანთაძეს წინადადებას აძლევს განაახლონ ვაჭრობა და აფრთხილებს, რომ თუ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში ისინი არ გამოცხადდებიან ხსენებულ სადგურებზე ან თფილისის სასურსათო კომისიაში, ბუფეტები და კარვები სხვას გადაეცემა. 2—1.

დაიკარგა თბილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 76211, 50 მანეთი.

ქალაქ ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე სამოქალაქო სამართლის 1401 მუხ. ძალით იწვევს 18 მარტის 1918 წ. გარდაცვალებულ ელიზბარ ლაზარეს ძე ზვიადაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ზვიადაძის ქონებაზედ კანონთა კრებ. სამოქ. სამართ. 1 ნაწ. X ტ. 1239 და 1241 მუხ. ძალით დაწესებულ ვადაში. ქალ. ქუთ. მომრიგებელი მოსამართლე ი. ფხაკაძე. მდივანი ან. მახარაძე.

დავკარგე 10 ამ თვეს შემდეგი საჭირო ქაღალდები: 1) ტალონი № 805 1000 მანეთის, 2) მოწმობა № 120231 სალიკვიდაციო ტალონი პოდპოლკოვნიკის სილიჩის სახელზედ 2083 მანეთისა და 32 კაპ. 3) მოთხოვნილების ფურცელი № 1354, 4) მოწმობა პიროვნების პოდპოლკოვნიკის სილიჩისა მიცემული შტაბისაგან VI სასაზღვრო ოკრუგისაგან და 5) მოწმობა სახივრობისა მისივე, მიცემული უკრაინის ცენტრალური რადისაგან, ზემო აღნიშნული დოკუმენტები უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.პოდპოლკოვნიკი სილიჩი.

ქართულ ენაზე

საბუღალტერო და საკომერციო კურსები

(ორივე სქესისა)

კურსები სამთვიანია, სწავლა საგნებისა და წიგნების წარმოება ქართულ ენაზეა. მეცადინეობა დაიწყება 10 ენკენისთვიდან. თხოვნები მიიღება საღამოს 5—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 22. ბუხჰალტერის კურსები ნ. ვ. აბრამიანისა. (6—2)

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.